

K 5519  
2



899.962.1-93

საყმაწვილო და სახალხო წიგნები, № 3.


# მოსავლის მცველნი

ან უ

სასარგებლო ცხოველები და ფრინველები.

შედგენილი

იაკობ გოგებაშვილის მიერ




მრავალი სურათებით.



თბილისი, 1896

სტამბა მ. შარაძისა და აბ., ნიკ. ქუჩა. № 21.



Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го апрѣля 1886 г.

## წინასიტყვაობა

მოგეხსენებათ, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს. ოციოთეულმა ქვეშევრდომმა უნდა იცოდეს ეს კანონები და ასრულებდეს მათ. თუ კანონებს გადავა, დაარღვევს, სახელმწიფო დასჯის მას, როგორც დამნაშავესა.

ბუნებას კიდევ უფრო სასტიკი, უფრო შეურყეველი კანონები აქვს, ვიდრე სახელმწიფოსა. ჭოველი ადამიანი, როგორც ვიცით, სცხოვრებს ბუნებაში, დამოკიდებულია მასზე, მის კანონებზე. თუ მას კარგად აქვს შესწავლული ბუნება, მისი ძალნი, მისი მოვლენანი, კანონები და გონივრულად უთანხმებს მათ თავის მოქმედებასა, ცხოვრებასა, ბუნებაც ხელს უწყობს კაცსა, ემორჩილება, აჯილდოებს იმითი, რომ ანიჭებს სიკრთელეს ჯანისასა და ქონებას—ამ ორს ბურჯს ბედნიერებისასა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ადამიანი უვიცია ბუნების მეტყველებაში, არა გავგება რა მისი, ეწინააღმდეგება მის კანონებსა და არღვევს მათ, მაშინ იგი ისჯება ბუნებისაგან უფრო უღმობელად, უფრო სასტიკად, ვიდრე დამნაშავე სახელმწიფოსაგან. ამისთანა ბუნების უვიცი ადამიანი ხშირად ავად-მყოფობს, უნაყოფოდ მუშაობს, ხელი ეცრება ყოველს ნაბიჯზე, მოსავალი უტდება, დოვლათი არ უდგება სახლში. ხშირი ავადობა და სიღარიბე—აი ხვედრი ამისთანა უვიცი ადამიანისა.—

მეტადრე ძლიერ უჭირს ბუნების ცოდნა ზედმიწევნით იმისთანა ხალხსა, როკელიც ხვნი-თესვით, მევენახეობით და მებაღეობით სცხოვრობს, როგორც ქართველები. რაოდენობა ყოველ გვარის მოსავლისა დამოკიდებულია ორს ძალაზე: ადამიანის შრომაზე და ბუნების თვისებაზე. რაც უნდა მუყაითი და ბეჯითი მუშა იყო, უხვს მოსავალს ვერ ეღირსები, თუ ბუნების ძალას არ დაიხმარებ, არ იმსახურებ, ხოლო ბუნება ხელს უწყობს და ემსახურება მარტო მას, ვინც მისი ავი და კარგი ზედმიწევნით იცის, შესწავლილი აქვს მისი თვისებანი, მისი კანონები.

ჩვენი ქვეყანის ბუნება ძლიერ მდიდარია, ქართველები კი ღარიბნი ვართ. რა მიზეზის გამო? იმის გამო, რომ ჩვენს ხალხს თავისი მდიდარი ბუნებისა არაფერი გაეგება, იმდენად არაფერი, რომ ხშირად იგი ებრძვის

იმისთანა ბუნების ძალებს, რომელნიც მისთვის მეტად სასარგებლონი არიან, ხოლო ხელს უწყობს და ესარჩლება იმისთანა რამეებს, რომელნიც ზარალის მეტს არასა სძღენიან მას. ხშირად ქართველი თავის მეგობრებს, ბუნებისაგან მიჩემებულს, მტრულად ეკიდება, მტრებს-კი მოყვრობას უწყევს და თავის თავს თვითონვე ვნებს.

ცხოველებსა და ფრინველებში ურევინ იმისთანანი, რომელნიც მექთნი მეველენი არიან ჭინახულისა, მცველნი და მფარველნი მოსავლი-სა, რომელნიც ყოველს ნათესს ერთი სამად და ოთხად აძლიერებენ. მაგ-რამ ეს ქართველმა არ იცის და უღმობელად უღეტს ამ თავისს დიდს მოკეთებებს, დიდს მეგობრებს და თავისივე ხელით ამცირებს თავისს წლი-ურს მოსავალსა. წაიკითხეთ ეს წიგნი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ გაუზვიადებელს მართალს ვამბობთ ქართველთა უვიცობაზე. და სწორედ ამ უვიცობის შემცირებისათვის დავბეჭდეთ წინედ „ბუნების კა-რი“ და „ქონა“, და ახლა ვბეჭდავთ ამ ახალს წიგნსა, რომელსაც მოჰ-ყვებიან სხვა წიგნებიც ბუნების მეტყველებიდან, თუ ღმერთი შეგვეწყოს.

იაკობ ზოგებაშვილი.



# დ ე ე ნ ი ლ ი მ ე გ ო ბ ა რ ი

ანუ ზღაპრი.

## 1. ჩვენი ვენახი და მოჯამაგირე.



ჩვენ ერთი დიდი ვენახი გვქონდა. შუაგული ვაზებით იყო სავსე, გარშემო-კი მწკრივ-წკრივად ერიგა რჩეული, საუკეთესო ჯიშის ხეხილი. მამა ჩემი ისე უვლიდა ვენახსა, როგორც დედა უვლის თავისს შვილსა, ღ ამის გამო ჩვენ ვენახში შესვლა სწორედ სამაური იყო თვალისა და გულისათვის. სამწუხაროდ, ქურდობა ყურძნისა და ხილეულობისა ზოგერთა ჩვენს სოფელს ჭირად სჭირდა. ამიტომ ჩვენს ვენახს, ყურძნისა და ხილის სიმწიფის დროს, მცველად მოჯამაგირე უღვა.

ვენახის ბოლოს, ერთი გემრიელის დიდი მსხლის ახლო, სათივე იდგა ოთხს დიდს ბოძზე. ბოძიდან ბოძზე სიგძე-სიგანეზე გადადებული იყო პტყლად გათლილი ხეები და ამ ხეებზე იდო ლატანი. ზამთრობით ამ ბოძებზე იდგა ვეებერთელა ზვინი წმინდა, აბრეშუმით თივისა, ზაფხულობით-კი ცარიელი იყო. არა, სულ ცარიელი არ იყო. ლატანზე დაინახავდით გაშლილ თივასა, შუა-გულში ჩაღრმავებულსა, და აქეთ-იქით-კი ამალღებულსა. რისთვის? იმისთვის, რომ აქ ღამით ეძინა ჩვენს მოჯამაგირესა.

— ღმეტრე! შენ იმ სათივეზე ძილს თავი დაანებე და ძირს გაიმართე საწოლი, თორემ ერთს მშვენიერს ღამეს იქიდან ძირს ზღართას გაადენ, და ჩვენის სოფლის სასაფლაოს ერთს ახალ საფლავს კიდევ მიუმატებ, — ვეუბნებოდით ჩვენ მოჯამაგირესა.

არხეინად ბძანდებოდეთ; მაგისი დარდი ნუ გაქვთ. თქვენ

ტახტიდან უფრო ადვილად გადმოცვივდებით, მინამ მე სათი-  
ვიდან. აგრე არა მაქვს მე საქმე მოწყობილი. შიგ ისე ვწე-  
ვარ, როგორც ბავშვი აკვანში. ან როგორ დავთმობ ჩემს სა-  
თივესა, როდესაც ისეთი ტკბილი ძილი იცის, რომ ხელმწი-  
ფის საწოლსაც არ ეცოდინება მისთანა, გვიპასუხებდა ხოლმე  
მოჯამაგირე. ღა მართლაც, სათივეზე ღამით წოლა და ძილი  
ესე უხდებოდა, რომ ჯანსაღობით და დაბრაწული ლოყებით  
ცხადად ერჩეოდა ტოლ-ამხანაგებში.

მრთი იშვიათი თვისების პატრონი იყო ჩვენი ღემეტრე:  
მთვარიანს ღამეში თითქმის ისევე კარგად ჰხედავდა, როგორც  
ღღისითა.

## 2. ნაქარი მსხალი და ზღარბი.



რთხელ კალოობის დროს მე წავასხი დილა-ადრიან ჩემი  
პატარა და-ძმა ვენახში. შვევდით თუ არა კარებში, მა-  
შინვე გავექანეთ გემრიელი მსხლისკენ, გვინდოდა აგ-  
ვეკრიბა ნაქარი მსხალი და პირი ჩაგვეტკებანურებინა; მაგრამ,  
დახე ჩვენს დაღონებასა, ერთი მსხალიც ვერ ვიპოვეთ.

— ღემეტრე! რა ღმერთი გავწყრომი, რომ ამ ადრიანს  
დილაზე სულ შეგითქვლევფია ნაქარი მსხალი, — ვუსაყვედუ-  
რე მე მოჯამაგირეს, რომელიც იქვე ახლო ვაზებს ფურჩქნიდა.


— თაფი მომიკვდეს და ღმერთი გამიწყრეს, თუ მე ღღეს  
მსხალი გემოთ მენახოს, — გვიპასუხა მოჯამაგირემ.

— მაშ რა იქნა ნაქარი მსხალი? ბუშინ საღამოს და  
წუხელი ქარი ჰქროდა და უნდა ცოტაოდენი მაინც ჩამოეყრე-  
ვინებინა.

— მართალია, ქარმა ხუთიოდ-ექვსი მსხალი ჩამოაგდებინა,  
მაგრამ ამ მსხლებს მე ახლოც არ მივკარებივარ. — ისინი შექა-  
მა წუხელის ერთმა დაუბატიყებელმა ოთხფენა სტუმარმა, —  
გვითხრა მოჯამაგირემ.

— რას მიედ-მოედები, ღამით რა უნდოდა აქ სტუმარსა  
და ისიც ოთხ-ფენასა?...

— ჰი არ მივედ-მოვედები, ქეშმარიტს სიტყვას გეუბნებით, — გვიპასუხა მოჯამაგირემ. — წუხელის სათივეზე შუალამისას გამომეღვიძა და ქვევიდან სლაპა-სლუპი და ხრამა-ხრუმი შემომესმა. წამოვიწიე ჩემი საწოლიდან, გადმოვიხედე ქვევით და მსხლის ძირში მთვარის შუქზე დავინახე ვეებერთელა ზღარბი, რომელიც ფაცა-ფუცით ნაქარს მსხალსა სჭამდა. მითი ღონივრად დავსჯყვილე; შეეშინდა, გაგოგმანდა და თხრილში ჩაგორდა. მერმე ისევ გულიანად დამეძინა. შთუოდ ისევ მოვიდა და დანარჩენი მსხლებიც შეახრამუნა.



ჩვენ საშინელს ბრაზზე მოვედით. ბენდოდა მიგვეგნო მსუნაგი ზღარბისათვის ზე მოგვეკლა. ღვეუწყეთ ძებნა; გადავაქოთებინეთ მოჯამაგირეს ახლო-მახლო ჩირგვები, თხრილები, ღობეები, მაგრამ კვალი ვერ მივაგენით.

შინ რომ ჩამოვედით, დედ-მამას ვუანბეთ ზღარბის ოინი. მოჯამაგირეს უბრძანეს, რომ ზღარბისთვის მოესწრო ზე უთუოდ მოეკლა. მოჯამაგირე ბევრი ეცადა აესრულებინა ბრძანება; დღისით ვენახში თვალი ექირა, ეგები სადმე შეეხვდე ზღარბსაო, და ღამით თავისს საწოლს სათივეზე ვეებერთელა ქვები ეწყო, რომ ესროლა ზღარბისთვის, როცა ის მსხლის ძირში მიგოგდებოდა. არა ერთხელ მოარტყა თურმე ვეებერთელა ქვა საწყალ მსხლის ქურდსა, მაგრამ მოკვლით კი ვერ მოკლა.

### 3. საშინელი დასჯა ზღარბისა.

**მ**ერთხელ, როცა მე და ჩემი პატარა და-ძმა ვენახში ვიყავით, ვაზებიდგან მოგვესმა ძახილი ჩვენის მოჯამაგირისა: „არიქა, ზღარბი, ზღარბი.“ ჩვენ შევეცვივდით ვაზებში და თავს წავადექით ერთ ეკლიანს ზე სრულიად მრგვალს გორგალსა. მს ეკლიანი გორგალი იყო ზღარბი. თივი და ფე-



ხები შიგნით შეემალა ზე ისე ოსტატურად გაეერთებინა თავისი ეკლიანი ტყავი, რომ პირი ვერ ვუბოვნეთ და ვერა. ბევრჯელ გადავაგორ-გადმოვაგორეთ, ბევრგან ვატაკეთ სარები, გვინდოდა თავი და ფეხები გამოგვეჩინებინა, დაგვერტყა და მოგვეკლა; მაგრამ ტყუილად. შოველ მხრივ, ირგვლივ ეკლიანი ტყავი იფარავდა. ჩვენს მსხლის ქურდსა, თითქო ციხე აქვს შემორტყმულიო.



ბოლოს დაუშინეთ ტანზე სარები და იმდენი ვცემეთ, მინამ ვავგუდავდით. აილო მოჯამაგირემ მკვდარი ზღარბი და თხრილში გადისროლა.

— ახლაც შეგვიქამ ნაქარს მსხალსა,— მივაძახეთ ნიშნის მოგებით მკვდარს ზღარბსა.

მეორე დღესაც მოგვიხდა ვენახში ასვლა. მივედით და გადავიხედეთ იმ თხრილში, სადაც გუშინ ჩავადეთ მკვდარი ზღარბი. ჩვენდა გასაოცრად, ის ადგილი ცარიელი დაგვხვდა, ზღარბი აღარსად იყო. „შთუოდ მოცოცხლდა ის ოხერი და

თავისი ბუნავი მონახა, ძლიერ ამტანი ცხოველია,“ სთქვა ჩვენმა მოჯამაგირემ.

— იქნება შეჭმა რამემ? ვსთქვი მე.

— მეც შეიძლება, მაგრამ მე-კი უფრო გაცოცხლებას ვაბრალებ იმის აქედან გაქრობასა, დაუმატა მოჯამაგირემ.

#### 4. შხამიანი გველი.



მავე დღეს ჩვენი ვენახის ბოლოში, სადაც განიერი წყლის საგუბარი იყო, ღრმა თხრილთან, გემრიელი მსხლის ახლო, ჩვენ წავაწყდით ისეთ რამესა, რომელმაც თავხარი დაგვცა და სრულიად დაგვაფიწყა ზღარბი. ეს იყო ვეებერთელა გველი, რომელსაც ზურგზე შავი ზოლი ჩასდევდა თავიდან დაწყობილი კუდამდინ. — „შაიმე, დედავ, შხამიანი გველი!“ — წამოიძახა ხმის კანკალით მოჯამაგირემ, რომელსაც საზოგადოდ ძლიერ ეშინოდა ყოველ გვარი მკურავისა, ქვეწარმავალისა. ჩვენ ყველანი შიშის კანკალმა ავციტანა და უკან სწრაფად დავიწიეთ. ზველი ჩვენს დანახვაზე უკან დაბრუნდა, დინჯად, აუჩქარებლივ გაისრიალა, ეტყობოდა, რომ გრძნობდა თავისს ძალასა, და ხშირსა და მაღალს ბალახში მიიმაღა.

ჩვენ გაფითრებულები ჩამოვედით შინა და დედ-მამას ვუამბეთ შხამიანი გველის დაბუდება ჩვენს ვენახში. ისინი ძალიან შეფიქრიანდნენ ზე სასტიკად ავვიკრძალეს: ჯერ-ჯერობით ასვლა ვენახში აღარ გაბედოთო. ამასთან უბრძანეს მოჯამაგირეს, რომ ის კდილიყო და როგორმე მოეკლა შხამიანი გველი; მაგრამ როგორ შესძლებდა ამასა, როცა თვითონ ყველაზე მომეტებულად ეშინოდა... ზავიდა რამდენიმე ხანი. არამც თუ ჩვენ პატარები, დიდებიც-კი აღარ დადიოდნენ ვენახში შიშის გამო.

## 5. ზღარბი ებრძვის შხამიანს გველსა.



უცებ ერთს აღრიან დილაზე მოჯამაგირე ძლიერ გახარებულნი ჩამოიქრა ვენახიდან და მოგვამახა:


— თქვენი ჭირიმი, რა ვნახე, რა ვნახე! აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი. წარმოიდგინეთ, წუხელის შუალამისას მან ჩვენი დიდი მსხლის ძირში მოჰკლა ის შხამიანი გველი, დიად მოჰკლა!

ჩვენს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ჯერ ძლიერ გვაკვირვებდა გაცოცხლება ზღარბისა, რომელსაც ისე უწყალოდ ვცემეთ, რომ ხარსაც-კი მოჰკლავდა იმდენი ცემა. მაგრამ ყველაზე მეტად ის გვიკვირდა, რომ ზღარბს შესძლებია გველის მოკვლა და ისიც შხამიანისა. ჩვენთვის ყველასათვის ეს პირველი გაგონება იყო.

— როგორ მოხდა, დაწვრილებით გვიამბე—ვუთხარით ჩვენ დემეტრესა.

ჩვეულებისამებრ, — დაიწყო მოჯამაგირემ — პირველ ძილს შემდეგ გამომეღვიძა შუალამისას. მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და ღამე მეტად ცხელი იყო. უცებ ახლო თხრილის გუბიდან მოისმა ალიაქოთი ბაყაყებისა. მე საწოლიდან წამოვიწიე, ნიდაყვს დავებჯინე და ცქერა დავიწყე თხრილისაკენა. მართს წამს შემდეგ მე დავინახე ვეებერთელა ბაყაყი, რომელიც გუბიდან ამოხტა და დიდი მსხლისკენ ხტუნვით გამოეშურა. მას სწრაფი სრიალით მოსდევდა გველი. მსხლის ძირში რომ მოვიდა, უცებ გველი შედგა, ბაყაყს თვალი მოაშორა, ქვემოთკენ იწყო ცქერა, ტანი მოიკრიბა, სისინი დაიწყო, თავი მალა აიღო და თითქო საომრად მოემზადა. მე ამან ძლიერ გამაოცა. რადგან გველმა თვალი გააშტერა ქვემოთკენ, ამიტომ მე ქვევით გადავიხედე და რა დავინახე? ჩვენი ზღარბი, ის ზღარბი, რომელსაც იმდენი ვცემეთ და რომელიც მკვდარი გვეგონა. თავისი ეკლიანი ტყავი მალლა აეკრიბა, ფეხები და თავი ცხადად უჩანდა, ყოჩაღად, მამაცურად იდგა და გამოჰანებდას

აპირებდა გველისაკენ. აი, ის უეცრად დაიძრა ადგილიდან, აბრეხილი წამოვიდა, მოუახლოვდა გველსა და დაეტაკა. ბაჩნდა საშინელი ბრძოლა. მე ცქერად გადავიქეცი და სულ-განაბული ვუყურებდი და, რასაკვირველია, ვნატრობდი გულადი ზღარბის გამარჯვებასა. ეს სულ იმასა ცდილობდა, რომ გველის თავი ეგდო კბილებში; გველი-კი სწრაფად იკლავებოდა და მეტად ოსტატურად არიდებდა თავსა; თან ჰკბენდა ხან ტუჩებში და ხან ფეხებში და ისე ძლიერ, რომ სისხლი გამოსდიოდა ზღარბსა. „ვაიმე, წავიდა ზღარბის საქმე,“ ვაშობდი ჩემს გულში.



მაგრამ ჩემდა სასიხარულოდ, მალე შევნიშნე, რომ ზღარბი გველის კბენას არად იმჩნევდა, თითქო რწყილი ჰკბენსო და არა შხამიანი გველიო. ზღარბმაც თავისი ბასრი კბილები ბევრგან ჩაუყარა გველსა და სისხლიც ბევრი აღინა; ხოლო გველს არ ასუსტებდნენ ეს ქრილობანი და ის ისევ შეუპოვრად ჰკბენდა თავის მოწინააღმდეგესა. ბოლოს, როცა გველი კიდევ მისწვდა ფეხში, ზღარბმა მოასწრო, ქეჩო დაუჭირა და თავი იგდო პირში; მოუჭირა კბილები, გაუჭყლიტა თავი, მოიქნია გველი და ზიზღით იქით გადააგდო. შემდეგ დაცუცქდა

იქვე და მიჰყო ლოკვა დაკბენილს ადგილებს. ლოკვას კაი ხანი მოუნდა, მერე ნაქარს მსხლებს ეწვია და ხარბად დაუწყა კამა. — შეგარგოს ლმერთმა, ვეუბნებოდი მე ჩემს გულში გამარჯვებულს მამაცს, ეკლიანს გმირსა. როცა მსხლით გული იჯერა, გაგოგმანდა ქვევითკენ და ლობის ჩრგვებში შეძვრა.

## 6. ჩვენი მეგობრობა ზღარბთან.

**მ** ამბავმა, რომელიც ჩვენ ყველამ კრინტის დაუძვრელად მოვისმინეთ, მარტო გაოცება როდი გამოიწვია. ბაოცებას სხვა გრძობაც დაერთო. ღიდმაც და პატარამაც აშკარად ვიგრძენით სირცხვილი. რისა გვრცხვენოდა? იმისი, რომ ფრიაღ სასარგებლო ცხოველსა, ერთგულს ჩვენს მეგობარსა, მმუსვრელს ჩვენის შხამიანის მტრისას, ჩვენ ვღვენიდით და ვკლავდით და ისიც რადა? იმის გამო, რომ სჭამდა ხანდახან ნაქარს მსხალსა, უფრო დამპალსა და ჩვენთვის გამოუსადეგარსა. მეთი უმეცრება და უსამართლობა კიდევ იქნება? და სწორედ ამ უმეცრებისა და უსამართლობისა გვრცხვენოდა ჩვენ ყველასა.

— ვაი თუ გველის შხამმა შემდეგ გასჭრას, მოსწამლოს ზღარბი და მოჰკლას, წამოვიძახე მე.

— არა მგონია, შხამს რომ წყენა შესძლებოდა ზღარბისა, ის ისე არხეინად აღარ იქნებოდა ბრძოლის შემდეგ, სთქვა მოჯამაგირემა ჩემდა პასუხად.

— არა ერთხელ გამიგონია ჩემს სიცოცხლეში, სთქვა მამაჩემმა, რომ ზღარბზე არც გველის შხამი და არც სხვა შხამი არ მოქმედობს, არა სჭრისო. მს წინედ მე წმინდა ჭორად მიმაჩნდა; ახლა კი ლამის მართალი გამოდგეს.

ჩვენ ყველანი დიდი-პატარამდინ ვენახში გავემგზავრენით, რათა ჩვენის თვალით გვენახა ზღარბისაგან დაგლეჯილი და მოკლული გველი. მნახეთ და დავრწმუნდით, რომ რაც მოჯამაგირემ გვითხრა, ყველაფერი მართალი იყო. ჩვენ ძლიერ

გვინდოდა ზღარბისთვის მიგვეგნო, სიკეთისათვის სიკეთე გვექნა, გვექმია სულ უკეთესი მსხალი, ალერსით მოვპყრობოდით, გაგვესწორებინა უწინდელი ჩვენი დანაშაული; მაგრამ კვალიც არსად სჩანდა მისი.

მრ დღეს უკან ჩვენმა მოჯაპაგირემ ჩამოიბრინა ვენახიდან და გვითხრა:

— სამახარობლო მერგება. ჩვენი შიში ტყუილი გამოდგა. ზღარბისთვის გველის შხამს სულაც ვერა დაუკლია-რა. იმან, საღსალამათმა, წუხელი კიდევ მოიგოგმანა მსხლის ძირში, ჯერ კარგად გული იჯერა ნაქარი მსხლის ჭამითა, მერე იხტუნავა, ითამაშა და ბოლოს ისევ გასწია ბუნაგისაკენა.

ჩვენ ისეთი სიხარული შეგვიდგა, თითქო ოჯახში მძიმე ავადმყოფი მოგვრჩენოდეს.

ამას შემდეგ ჩვენს ვენახში ზღარბები თავისუფლად იბუღებდნენ, ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ. ჩვენ არამც თუ არას



ვუშავებდით, არამედ თავაზიანად და მეგობრულად ვექცეოდით, მეტადრე მათ ჰაწია შვილებსა.სამაგიეროდ ზღარბები ხოცდნენ და სჭამდნენ გველებსა და მათი სინსილა მთლად გასწყუვა ჩვენი ვენახიდან. ზღარბები სხვა სიკეთესაც გვძღვნიდნენ: მრავალ-ძარღვას და სხვა ვენახების მავნე ბალახებსა ძირიანათ სთხრიდნენ და ძირებს უჭამდნენ, ასე რომ მუქთი მმარგვლელები გამოდ-

გნენ. მაგრამ ყველაზე მეტს სიკეთეს იმათი გვიშვებოდნენ, რომ კატებსავით იჭერდნენ და ჟღერდნენ თავგებას, ამ ყანის და ვენახის მტრებსა. მართალია, ნაქარს მსხალს გვაკლებდნენ; მაგრამ განა ეს მცირეოდენი ზარალი სათქმელი იყო იმ დიდს სიკეთესთან, რომელსაც ჩვენ მათგან ვხედავლივ? —



# ფ რ თ ი ა ნ ი კ ა ტ ა

## ანუ ჰოტი.

### 1.



როცა სახლში მძიმე ავადმყოფია, მთელი ღამე ანთია სა-  
ნთელი, კვარი, ან ქრაქი. სინათლე ფანჯრიდან, ან სანა-  
თურიდან გარედ გამოდის. ამ სინათლეზე გროვდება  
მრავალი ღამის პეპელა, იკრიბებიან დიდრონი და პატარა ბუ-  
ზები, კიდევ სხვაფრთიანი მწერები და ფუსფუსი გააქვთ სინა-  
თლეში. ავადმყოფს მათი ბზუილი და შრიალი არ ესიამოვნე-  
ბა; მაგრამ ერთი სულიერი-კი აღტაცებაში მოჰყავს. ეს სული-  
ერი არის ჰოტი.

მთელი ღღე ჰოტს ეძინა, ან სთვლემდა კოშკის ნანგრე-  
ვი, ან ხის ფულტოროში და მხოლოდ საღამოზე გამოიღვიძა,



როცა სხვა ფრინველები მიეცნენ ტკბილს  
ძილსა. საშინელი სიმშლილი აწუხებს, რა-  
დგანაც მთელი ღღე ნაყრი არ უნახავს.  
რად ეძინა მთელი ღღე და რატომ სხვა  
ფრინველივით არ დანადირობდა? იმიტომ,  
რომ ჰოტის ბღვრიალა და გადმოკარ-  
კლულს თვალებს აბრმავებს მზის შუქი და ღღისით ხეირიანად  
ვერასა ხედავს. ღამით-კი თვალის ბაიები ისე უგანიერდება,  
რომ ერთი ვარსკვლავის სინათლეც საკმარისია მისთვის, რომ  
ყველაფერი კარგად გაარჩიოს. ამის გამო ჰოტისთვის ღღე  
ღამეა და ღამე ღღე.

### 2.



შიერი ჰოტი ამოძვრა ძველის კოშკის ჯურღმულიდან,  
დაჯდა კედლის წვეროკინაზე და სოფელი დაათვალიე-  
რა თავისი აბრიალებული და გაუმადლარი თვალებითა.  
მართს სახლთან დაინახა სინათლე, რომელიც ფანჯრიდან გამო-



დიოდა. ამ სინათლეში გაარჩია ურიცხვი პეპელა და ბუზი და სიხარულით ცას დაეწია. იმ წამსვე დაიძრა ადგილიდან, თავისი ღონიერი ფრთები ერთმანეთს შემოჰკრა და ისარივით გაექანა მწერებისაკენ. მიფრინავდა ისე ჩუმად, რომ მწერებმა ვერაფერი შეუტყეს, მანამ მათში ჰოტი არ გაერია. ბაუქროლა, სტაცა ნისკარტი ერთს დიდს პეპელასა და გადაყლაპა. მერე მეორე მხრიდან გამოუქროლა, ახლა ვეებერთელა ბუზი იგდო პირში და თავისს ჩინჩახვში გაგზავნა, ხელახლად მოტრიალდა და ერთს სხვა პეპელასაც ეს დღე დააყენა. ამ სახით ინადირა მთელი ღამეები და თანაც ხშირად თავისს სიამოვნებას აცხადებდა თავისი საზარი ხმითა, რომელიც ავადმყოფის და მისს მომვლელის ყურებს ძლიერ ეჩოთირებოდათ.

გადაიკვალა ავადმყოფი, გაქრა ღამით სანთელი, მწერების ქაქანებაც აღარ იყო და ჰოტმაც დასტოვა ეს ადგილი. ღიასახლისმა იფიქრა: ჰოტი არსად იყო, ვიდრე ჩემი ავადმყოფი უკედ იმყოფებოდა; გაჩნდა საიდლანაც ჰოტი და იგი შეიქმნა სულთმობრძავი; თავისი ბაიყუში ხმით იძახდა იქამდინ, ვიდრე სიკვდილმა ხელიდან არ გამომაცალა. მამიკვდა პატრონი და ჰოტის ხმაც შესწყდა. მტყობა ეს საძაგელი ფრინველი უბედურების წინამორბედი ყოფილა. წყეული და შეჩვენებული იყოს ბოროტი ჰოტი.

ეს მოვლენა შეამჩნია ბევრმა სხვა მომაკვდავის პატრონმა და ყველა იმ აზრზე დადგა, რომ ჰოტი მომასწავებელია უბედურებისა, ბოროტია, მანე და ღირსი დევნისა და სიკვდილისა. ის კი არავის მოსდიოდა ჰკუაში, რომ ჰოტს არაფერი გაეგება არც სახლისა, არც მდგმურებისა და არც ავადმყოფისა. ის სულ სხვა წადილით მოდიოდა სინათლიან სახლებთანა და რას მოიფიქრებდა, თუ ბოროტის წინასწარმეტყველის ნიქს დაუსაკუთრებდნენ.

ამ სახით გაუტყდა სახელი ჰოტსა. შველას იგი სძულდა, ყველა მას სწყევლიდა, თავის მტრად მიაჩნდა და თუ სადმე მოასწრობდა, დიდი სიამოვნებით ჰკლავდა. ასე იყო

უწინ, ასე არის ეხლაც. ღიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც, ერიც და მღვდელიც ქოტს მანებელ ფრინველად რაცხვენ და სცდილობენ სამაგიერო გადაუხადონ.

3.




არნა წარმოიდგინე, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ თუ ქოტს შესძლებოდა სამართალში ჩივილი, მთელს კაცობრიობას დაუმტკიცებდა უსამართლობას, უვიცობას, შეარცხვენდა და თავისს წინაშე დამნაშავედ გამოიყვანდა. მას შეეძლო მოწმად წარედგინა სამართლის წინაშე ახლანდელნი საუკეთესო ბუნების მეცნიერნი, რომელნიც აღიარებდნენ, რომ ქოტი დიდი მოკეთეა ადამიანისა, ფრიად სასარგებლო ფრინველია და არამც თუ უბედურობის მომასწავებელი არ არის, არამედ ნამდვილ ბედნიერებას შეადგენს ყოველი ადგილისათვის, სადაც კი იგი დაბინავდება. ჭოტს, სხვათა შორის, შეეძლო გასამართლების უამს წაეკითხნა შემდეგი სიტყვები ძარღე შოხტისა, რომელიც ერთი უპირველესი მეცნიერია ბუნების მეტყველთა შორის: „ქოტები სწორედ რომ ყველა ფრინველებზე სასარგებლონი არიან და ბედნიერება მიაქვთ ყველგან, სადაც კი ისინი დაიბუდებენ. იგინი ღირსნი არიან გამოსარჩლებისა, მფარველობისა ღ ზუნდა ყველა იმასა ცდილობდეს, რომ ქოტებმა ბუდეები იკეთონ სოფლებისა და სადგურების ახლო“.

რასაკვირველია, იკითხავთ: რითი, რა სიკეთით დაიმსახურა ქოტმა ამისთანა სახარბიელო სახელი თანამედროვე მეცნიერთა შორის?


4.



ადამიანის მოსავალსა და დოვლათსა ჰყავს ერთი დაუდგარი, შეუჯერებელი, დიდად მახარალებელი მტერი. ამ მტერსა ჰქვიათ თავი. თავისი პატარა ბასრი კბილებით თავი ფესვებს უფუჭებს პურსა, სიმინდსა, ქერსა, შერია-




სა, ღომსა ზ სხვა ქინახულსა, ახრამუნებს ყოველს გვარს მარ. ცვალსა, ხნულში დათესილსა, ან თავ-თავზე მობმულსა, სჭრის ტანისამოსსა, ბილწავს სასმელსა, ეტანება ყოველგვარს საქმელს



და სხვანი. მრთი სიტყვით, ყოველი თავისი მოქმედებით ადამიანს რასმე ავნებს. თვითონ ადამიანს თავისი ხოცვა არ შეუძლიან: თავგი ძლიერ მარდია, მიწაში ცხოვრებს, სწრაფად მრავლდება და ადამიანი მას ვერას აკლებს. ამ პატარა ნადირთან საბრძოლ-

ველად დიდი ხანია ადამიანს გაუშინაურებია კატა. მაგრამ კატა ებრძვის თავგსა მხოლოდ სადგურებში. ბოსტანსა, ვე-



ნახსა და მინდვრის ნახნავ-ნათესა კატა პატრონობას ვერ გაუწევს. აქ თავგი საშინლად გამრავლდებოდა და დიდს ზარალს მისცემდა ყოველგვარ მოსავალსა, რომ მას მტრად არ გასჩენოდა ფრთიანი კატა. მს ფრთიანი კატა არის ქოტი. მს

უცნაური ფრინველი დაუფასებელი მეველეა ქირნახულისა ღამით, როცა ადამიანსა სძინავს ზ თავისი ნახნავ-ნათესი ლეთის ამარად აქვს დატოვებული. ჭოტი დაუღალავად სდევნის თავგსა ზ ჟღეტავს. ამ პატარა მანე ნადირის ქერაში ისე გაოსტატებულია, რომ კაცი სწორედ გაოცდება. ჭოტს ძლიერ შველის ის გარემოება, რომ ღამით დანადირობს. თავგები დღისით სოროებში არიან მიმალულნი, ღამით-კი არავისი ეშინიათ ზ ზეით თამამად ამოდინან. ღამით თავგები ცუდად ხედავენ, ქოტს კი ღამით ისე უჭრის თვალი, როგორც ადამიანს დღისით. მეტადრე მუსრს ავლებენ თავგებს ქოტები ბარტყების გამოზრდის დროსა. მთელი ღამე დაუღალავად მოაქვს ბუდეში დედალ-მამალს თავგები და აქმევს ბარტყებსა. მრთმა მეც-

ნიერმა, სახელად ჩუდიმ, მიაგნო ქოტების ბუდესა და ერთს სალამოს ამ ბუდის ახლო მიიმალა და უთვალ-თვალა. ღა რა აღმოჩნდა? მართის სალამოს განმავლობაში დასთვალა თერთმეტი თავგი, მიტანილი დედალ-მამალი ქოტისაგან.

5.



გერმანიაში სოფლის მხენელ-მთესველთა და მამულის პატრონთა დაქირავებული ჰყავთ ერთგვარი მეველეები, რომელნიც ვალდებული არიან იქირონ და ქლიტონ ვირთავეები და თავეები ღ ამითი მოსავალს ხელი შეუწყონ. ამ სამსახურისთვის მათ კარგი ჯამაგირები ეძლევათ. მეცნიერთა გამოკვლევით, მთელი ეს გროვა მეველეები ორი წლის განმავლობაში ვერ დაიქერენ იმდენს თავგსა, რამდენსაც ქლეტენ ყოველს თვეში გერმანიის ქოტები. ღა გერმანელი გლეხი თავის ჩათლახს მეველეებს კარგს ჯამაგირს აძლევს, ხოლო ფრთიანსა, მარდსა, მუქოსა და უფრო სასარგებლო მეველეებსა სდევნის და ხოცავს. მეტი სიბრმავე და უსამართლობა იქნება?

მრთი სიტყვით, ყოველი ქოტი ხსიათით და ნადირობით ნამდვილი მფრინავი კატაა და რა სიკეთეც კატას სახლში მოაქვს, ერთი-ათად მეტს სიკეთესა სძღვნის ქოტი ვენახსა და ნახნავ-ნათესსა. მხოლოდ ოთხ-ფეხი კატა შენახვასა და ხარჯს თხოულობს, ხშირად საკმელს უჭამს პატრონსა, ჭურჭელსაც უმტვრევს, ფრთიანი ორ-ფეხა კატა-კი უხარჯოდ, უფასოდ ემსახურება, იოტის ოდენა ზარალს არ აძლევს და მხოლოდ ევედრება: სიკეთისთვის ბოროტს ნუ მიშვრებით, მეგობრობისთვის მტრობასაო. მაგრამ უვიცს ადამიანს ეს თხოვნა არ ესმის და სჩადის საარაკო უსამართლობასა.

ზარდა ამისა, ქოტი ჩვენ გვიწევს მეორე დღის სამსახურსაც, რომელიც კატას სრულიად არ შეუძლია. თავის გარდა ყოველ გვარს მოსავალს ჰყავს ერთი კიდევ საშინელი მტერი, თავგზე ბევრად უარესი. მს მტერი არის სხვა და სხვა ქია-

მატლი. ჭია-მატლები უხდენენ მცენარეებს ფესვებსა, ყლორ-  
ტებსა, ფოთლებსა, კოკორსა, ყვავილსა და ნაყოფსა და ძლი-  
ერ ამცირებენ მოსავალს ბოსტნისას, ვენახისას, ნახნავ-ნათესი-  
სას. ამ მტრებს მოსავლისას მუდამ ებრძვის მუქთი ჯარი ფრინვე-  
ლებისა. ხოლო ფრინველთა შორის ერთი საუკეთესო მეომარი  
არის ქოტი. ჭოტი ქია-მატლებს მაშინაც სდევნის და უღეტს,  
როდესაც თავგებით მაძლარია, რადგანაც ეს მწერები მისთვის  
პირის გასატყბანურებელნი არიან. ბარნა როცა ქოტს თავი სა-  
ქმელად აკლია, მაშინ მწერებს სულ მუსრს ავლებს. მეტადრე  
ბევრს ქია-მატლს აშორებენ მცენარეებს ქოტები მაშინ, რო-  
დესაც ბარტყები ახალი გამოჩეკილი ჰყავთ. ჩვილს ქოტებს  
თავის ხორცის მონელება ჯერედ არ შეუძლიათ და ამიტომ  
დედალ-მამალი მათ სულ მატლებით და ქიებით ჰკვებავს. ღა-  
ისიც რომელი ქია-მატლებით? იმისთანებით, რომელნიც უფ-  
რო მავნებელნი არიან მოსავლისათვის. ჭოტებს ეს ქია-ლუა,  
მავნებელი მწერები არ გამოეპარებათ, ვერ დაემალებათ ვერც  
მიწაზე, ვერც ბალახებში, არც ხეზე და არც სხვა ადგილს.  
სხვა ფრინველები სდევნიან ქია-მატლებს დღისით, როდესაც  
მათ ჰღვიძავთ, ყველაფერსა ჰხედავენ და შეუძლიათ დამალ-  
ნონ, თავს უშველონ. ჭოტები-კი უხილავი მტრები არიან, და-  
მით დანადირობენ, ძლიერ ჩუმი ფრენით ეპარებიან და მძი-  
ნარე მატლებს უნისკარტებენ.

ამ სახით, ქოტი არის მოსისხლე მტერი და მყლეტელი ადა-  
მიანის ორის მეტად მაზარალებელი მტრისა; ამიტომ ნამდვილს  
ბედნიერებას შეადგენს ყველა ადგილისათვის, სადაც კი იგი  
დაიბუდებს, ძარღე შობტისა არ იყოს; ადამიანი კი ამ თავისს  
უძვირფასეს მეგობარს მტრობასა და დევნას არ უღევს და  
ცდილობს მისი სახსენებელი ამოავდოს! აი უფიცობამ, უსწავ-  
ლელობამ რა იცის.

ჭოტმა გაშინაურებაც ადვილად იცის და დიდს ჰკუასაც  
იჩენს. ძნელად გასტყხს, ან გააფუჭებს რასმე, რიგზე და წეს-  
ზე ცხოვრებს და ძლიერ აყვარებს თავისს თავს პატრონსა.

მოძრაობა და ფრენა უცნაური აქვს, მოსწონს პრანკვა-გრეხა და ხშირად გულიანად აცინებს შინაურებსა. ცუდ გუნებაზეა, როცა სახლი მზით არის გაჩაღებული და ამ დროს მობუზული ზის სადმე ბნელს კუთხეში. ძარგს ქეიფზე დადგება ხოლმე, როცა ღრუბლიანი დღეა, ან ფარდებით არის დაჩრდილული ოთახი. მეგობრობა გულითადი იცის. მართმა გაშინაურებულმა კოტმა ისე შეიყვარა კატის კნუტი, რომ აღარ შორდებოდა და კალათაშიაც მუდამ მისთან იწვა. თუმცა ამ კოტს შინ საქმელი ბლომად ჰქონდა, მაგრამ ბოსტანსა და ბაღჩაში უწინდებურად დანადირობდა თავგებსა და ქია-მატლებზე ღამ-ღამობით... გაშინაურებული კოტი მოგაგონებთ ულამაზო მანდილოსანსა, რომელიც ჰკუთ, კეთილი გულით, მშვიდობიანი ხასიათით და უწყინარობით ყველას გულს იგებს და თავს აყვარებს.



# დიდი მოკეთე მჭრის კანში


ანუ ბელურა ჩიტი.

1.



აო, დიდი მოკეთეო? და ისიც ვინა? ბელურა ჩიტი, ის დაუღეგარი, ამოსაწყვეტი ქურდ-ბაცაცა? ძარგი ხუმრობაა, თქვენმა მზემ, წამოიძახებს ჩემი მკითხველი გაცეცებით.

სრულებითაც არა, მე უტყუარს მართალს გეუბნებით და არა სახუმარო რასმე. თუ ჩემი სიტყვა მეტად გეუცხოვათ, ეგ იმიტომ, რომ თვალი გატყუებთ. თვალი გეუბნებათ: ბელურა



ჩიტი თქვენი მტერია, ზარალს გაძღვეთ, სდიეთ და ჟლიტეთო. მეცნიერება კი გვაუწყებს: ბელურა შეუდარებელი მეველეა ჭინახულისა, დიდი მოკეთეა თქვენი, სარჩლი გაუწიეთ და ამრავლეთო. თვალი გვეუბნება: ბელურა ჩიტს შავი კბილი

აქვს და შავი გულიც უნდა ჰქონდეს, ჯანდაბას მისი თავიო. ზკუა უპასუხებს: ბელურა ძლიერ კარგი გულის პატრონია, სრულიად არა ჰგავს იმ მზაკვარს, ცბიერს, პირფერა ადამიანებს, რომელნიც თეთრს კბილს გვიჩვენებენ, და თავისი შავი გულით კი გვიშხამებენ სიცოცხლესაო, აცოცხლოს იგი და გაუმარჯოსო. თვალი ბრალსა სდებს, ქურდ-ბაცაცად სთვლის, დასჯას იოხოვს, გონება ესარჩლება, პათიოსან მუშად მიაჩნია, საჩუქრის ღირსად რაცხს. ანდაზისა არ იყოს, ქუდი ძირს დავდოთ, გულმოდგინეთ მოუსმინოთ თვალსაცა და გონებასაცა და სწორე მსჯავრი დავადგინოთ.

თვალს ბელურას წინააღმდეგ მოჰყავს შემდეგნი მისნი მოქმედებანი.

ძალოზე ძნა მოიტანეს. ძნას ჰყრიან ძირსა და მარცვალნი სცივია. ბელურა ჩიტები გაჩნდნენ საიდგანაც, მიფრინდნენ კალოს პირზე და დაუწყეს ხარბად კენკა მარცვლებსა.

მანდილოსანი უყრის ქათმებსა და ბატებსა პურის მარცვალსა, ჩიტები გულადად, შეუპოვრად მიდიან და მარცვლებს თითქმის პირიდან აცლიან შინაურს ფრინველებსა.

ბაღში ბალი დამწიფდა. ჩიტები გახდნენ მისნი ხშირი სტუმრები, ჰკენკენ ტკბილს მარცვლებსა და პირს იტკბანურებენ.

ხორბალი გაჰფინეთ ბანზე და ძირს ჩამოხვედით. ჩიტები იმავე წამს დაიბადნენ გაფენილს ხორბალთან და დაუწყეს კენკა.

ჟველა ეს მართალია, ყველა ამას თვალი ხედავს, გვატყობინებს და სწორედ ამის გამო ადამიანი ემტერებოდა ბელურა ჩიტებს წინედ და ახლაც ემტერება. მაგრამ ნასწავლი გონება ამბობს, რომ ეს ზარალი ძლიერ მცირეა, ლაპარაკად არა ღირს, ხოლო უჩინარი სიკეთე ჩიტისა იმოდენაა, რომ ყელამდინ ვალში ვართ ამ პატარა ჩიორას წინაშე. და აი რა საბუთები მოჰყავს.



2.



ევროპა უკანასკნელს საუკუნოებში ისე გაივსო ხალხითა, რომ ტევა აღარ იყო. ამის გამო ბევრი ევროპიელი გადასახლდა საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში: ამერიკაში, აფრიკაში და ავსტრალიაში. იმ უცხო ქვეყნების მცხოვრებნი არა სთესდნენ არც პურსა და არც სიმინდსა, არც ბაღები ჰქონდათ გაშენებულნი. იკვებებოდნენ სხვა-და-სხვა გემრიელი და ნოყიერი ხილეულობით, რომელიც ტყეში გარეულად ხარობდა და ხარობს მრავლისაგან მრავალი. ევროპიელებს არ შეეძლოთ უპუროდ ცხოვრება, ვერ იტანდნენ იქაურს ხილეულობას; და იმიტომ იწყეს ხვნა-თესვა და შეუდგნენ სხვა-და-სხვა ჩვენებური ქიანხულის მოყვანასა. ღარგეს აგრეთვე ევროპიული ხეხილები, გააშენეს ბაღები. მიწა იმ შორეულს ქვეყნებში ძლიერ ნოყიერია, მაგრამ ევროპიელებს იმედი სრულიად გაუმტყუნდათ. იმ ქვეყნებში იცის მრავლისაგან მრავალი, სხვა და სხვა ჯურის ქიანატლები, ბუხები, მწერები. ეს მწერები მიესივნენ ევროპიელებისაგან დათესილს ქიანხულსა, დარგულს ხეებსა და სულ ერთიანად ააოხრეს, გაახმეს, მოაყინეს. იქაური ფრინველები ათასობით დაედგნენ ამ მწერებსა, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, რადგან საოცარი სისწრაფით მრავლდებოდნენ. თქვენი მტერი ჩავარდეს იმისთანა გაჭირვებაში, რომელიც მიადგათ ევროპიელებსა. იქაურს საკმელს ვერ იტანდნენ, შეჩვეული საკმლის მოყვანას კი მწერები შეუძლებლად ხდიდნენ. არ იცოდნენ, რა ექნათ.

მაშინ ერთს ევროპიელ მსწავლულს, გადასახლებულს ამერიკაში, გაახსენდა ბელურა ჩიტნი, მისი სიმარდე, მისი დაულავი ჟღერა მწერებისა, მისი სწრაფად გამრავლება და იფიქრა: იქნება ამ ყველასაგან დევნილმა ჩიტუნებმა გვიხსნას განსაცდელისაგანაო. ადგა და ერთის ხომალდის კაპიტანს დაავალა: გვიყავ სიკეთე და ერთი ორმოციოდე დედალ-მამალი ბელურა ჩიტნი მოგვიყვანე აქაო. კაპიტანმა თავისი ხომალდით

მოიარა გზა და რავდენისამე თვის შემდეგ გალიით მიუყვანა დამბარებელსა სამოცამდინ დედალ-მამალი ბელურა. ბევრს სიცილად არ ეყო ეს ამბავი; ჩვენს მოუსავლობას რაღა ეგ ქურდბაცაცა ბელურეები ექირებოდაო. მაგრამ მალე ეს დამცინავნი თვითონ გახდნენ სასაცილონი. ჩიტების დამბარებელმა თავისს დიდს მამულში დაუმზადა მოხერხებული საბუღრები ბელურებსა და გამოუშვა გალიიდან. ჩიტებს მოეწონათ ეს საბუღრები, დაბინავდნენ თავისი პატრონის მამულში, უცხო ადგილი სწრაფად შეითვისეს, დატრიალდნენ და დაერივნენ იქაურს მწერებსა. **ღ**ა რა მოხდა მოკლე ხნის განმავლობაში? სწორედ ნამდვილი სასწაული. **რ**აც იქაური ფერად-ფერადი, ლამაზ-ლამაზი ფრინველებისათვის შეუძლებელი იყო, ის ადვილად მოახერხა პატარა და სულ სადა ფრინველმა—ბელურა ჩიტმა. ისეთი მეველეობა გამოიჩინა, რომ ქინახული და ბაღები ავის თვალით აღარ ინახებოდა. რავდენიც უფრო მრავლდებოდნენ ბელურები, იმდენი უკეთესი მოსავალი მოდიოდა. შემამულე აღტაცებაში იყო და ახლა თვითონ იგდებდა მისხარად იმათ, ვინც წინედ მას დასცინოდნენ.

მს ამბავი მოხდა კუნძულს შუბაზე, რომელიც სძევს აღმოსავლეთით შუა ამერიკისა. ბაიგეს სხვა ცხელ ქვეყნებშიც ის სასწაულ-მოქმედება, რომელიც ბელურა ჩიტებმა ჩაიდინეს კუნძულს შუბაზე ზე მეროპიდან იწყეს გადაყვანა ამ შეუღარებელი ფრთოვანი მეველეებისა. მხლა, სადაც-კი ევროპიელები სცხოვრებენ ცხელ-ქვეყნებში, როგორც ახალ-შენნი, ყველგან გაჩენილი ჰყავთ ბელურა ჩიტები და ხელს უწყობენ მათს გამრავლებასა.

3



როგორ ახერხებს ამოდენა სიკეთეს პატარა ჩიტი-ბელურა? რა გვარად იცავს მოსავალსა და აძლიერებს მას? ჯერ უნდა კარგად, ზედ-მიწევნით გავიგოთ, რა აფუქებს მოსავალს, რა არის მისი მტერი?—**მ**უ გამხმარს, მომცდარ

ქინახულს გაშინჯავთ, ხშირად შენიშნავთ, რომ მას ახვე-  
ვია ქია-მატლი ან ფესვებზე, ან ფოთლებსა და ტოტებზე  
და ან თვითონ ნაყოფზე, თავთავებზე, მარცვლებზე. ღა სწო-  
რედ ქია-მატლების ბრალია მოსავლის გახმობა. თუ მომ-  
ცდარი ხეხილი ნახეთ, ამის ჩამდენიც მატლია, რომელიც სთვლე-  
ფავს მის კოკრებს, მის ფოთლებს, მის ნაყოფის ნასახს.  
შველამ ვიცით, რომ ქიანს ხილში ყოველთვის მატლი არის.  
თუ კომოსტოს ან სხვა ბოსტნეულობას ფოთლები დახრუ-  
ლი აქვს, ესეც ქია-მატლების ოინია. მრთი სიტყვით, ქია-  
მატლები საშინელი მტრები არიან ყოველ გვარი მოსავლისა  
და აფუჭებენ მას დღისით და ღამით, აშკარად და უჩინრად.  
თვითონ ადამიანს მათთან ბრძოლა არ შეუძლია, თოფს მათ-  
ზე ვერ იხმარს და ხანჯალსა. მაგრამ სადაც ადამიანი უძლეუ-  
რია, იქ ფრინველნი ძლიერნი არიან, და დიდ სიკეთეს გვძე-  
ნენ. ამ ფრინველთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ბე-  
ღურა ჩიტსა.

ბი დაუბერა გაზაფხულის ნიავმა. ტყე ჯერ ნორჩი ფოთ-  
ლით კარგად არ არის შემოსილი, ჯერ არ მოსულან ზოგნი  
შემოდგომაზე წასულნი ფრინველნი უცხო ქვეყნებიდან; მა-  
გრამ ბელურას ბუდეში კი უკვე ჭყვიან პაწია ყვითელ ყბიანი  
ბარტყები. ბი ამის გამო არის ნათქვამი: „თებერვალი დად-  
გაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა-ჩიორამაო საძირკველი გად-  
გაო“. ღიად, ჩიორები ძალიან ადრე შეუდგნენ თავდარიგსა.  
საზავიეროდ, სხვა ფრინველებზე ადრეც დაუდგათ მათ დრო  
საშინელი ჯაფისა. ბარტყები სუსტნი არიან, მარცვლების მონე-  
ლება მათ სულ არ შეუძლიათ, და დედ-მამამ უნდა უზიდოს  
სხვა და სხვა მატლები, ჭიები, ბუზები, პებელები. პატარა მწე-  
რები არიან ერთად-ერთი საქმელი ბარტყებისა, მინამ იგი-  
ნი დაიზდებიან. ამიტომ დედალ-მამალი დილით საღამომდინ  
დაფრინავს ბოსტნებში, ბაღებში, ვენახებში, ნათესებში ჭე ეძებს  
მატლებსა, ჭიებსა, მანენ პებელებსა. მოჰკრავს თუ არა თავისს  
გამჭირახს თვალს, მიფრინდება, იგდებს ნისკარტში და გაარბევი-

ნებს ბუდეში. ბარტყები პირებს განივრად აღებენ და დედალ-მამალი რიგ-რიგით უდებს მათ მწერებსა. ბარბიან ისევ უკან და ახლა სხვა მწერები მოაქვთ. ასე ნადირობენ ჭია მატლებზე მთელს დღესა, დილის ბინდ-ბუნდიდან საღამოს ბინდამდინ, თექვსმეტის საათის განმავლობაში, და ჟღერტენ მოსავლის მტრებსა.

მართმა მსწავლულმა მოინდომა გაეგო, რამდენი მატლი მოაქვს ბუდეში დედალ-მამალს ჩიტს დღეში, და ამისათვის მათი ბუდის ახლო დილა ადრიანად მივიდა და დაუწყო თვლა. თვალა, თვალა და ბოლოს ანგარიში დაჰკარგა, ისე მალ-მალ მიაბევიანებდნენ ჩიტები თავისს ბარტყებთან მატლებსა ო კიებსა. ასე ჟღერტენ მანვე მწერებს ბელურა ჩიტები ორი-სამი კვირის განმავლობაში, ვიდრე მათი ბარტყები მოიჩიტებოდნენ და დასაფრენნი გახდებოდნენ.—

აი ფრთებ შესხმული ბარტყები ამოფრინდნენ ბუდიდან და თავისუფლად დაიწყეს ფრენა. მხიარული ჟივჯივით სხდებთან ხან ღობეებზე, ხან ხეივნებში, ხან ბოსტნის კვლებში, ხან ბუჩქებზე და ხან სად. ახლა უფრო დიდ მადაზე არიან, თავისუფალი მოძრაობა უფრო ღორმუცელად ხდის მათ. მაგრამ საქმლის შოვნა კი ჯერ თვითონ არ შეუძლიათ. პატარა ჩინჩხვიც ჯერედ ისევ სუსტი აქვთ, მარცვლეულობას ო მაგარს საქმელს ვერ აიტანენ; ამიტომ დედალ-მამალი ახლა უფრო გაფაციცებით ეძებს ჭია-ლუებს, მატლებს, პებლებს, იჭერს, მიაბევიანებს თავისს ბარტყებთან, ესენი თავისს ყვითელს პირებს აღებენ, იდებენ მოტანილს საქმელს და ყლაპავენ.—ბოლოს ბარტყებს ასწავლა დედ-მამამ კარგ ფრენასთან მატლების და კიების ჭერაც, ასე რომ პატარებს დიდებში ველარც კი გამოარჩევთ. მაშინ საოჯახო კრება მოხდა. დიდები გამოეთხოვნენ ყმაწვილებსა და უთხრეს თავისს ენაზე: თქვენ ახლა მოზრდილები ხართ, კარგად იცით ფრენაც, საქმელ-სასმელის შოვნაც და ყველაფერი, რაც ჩიტისათვის საჭიროა. წადით ახლა, და თქვენ თვითონ იცხოვრეთ. მშვიდობით! ამის შემ-

დევ დაიფოხრიალეს, შვილები ცალკე წავიდნენ, დედ-მამა კიღევ ცალკე.

ჩიტები სწმენდენ თავის ბუდეს, ახლებენ ზღვადალი მეორედ სდებს კროლა კვერცხებს ექვსს-შვიდსა. მაშინვე ჯდება შიგ და ორს კვირაში ჩეკავს. იწყება ახალი ჟღერა ქია-მატლებისა მოსავლის სასიხარულოდ. ღაზარდეს მეორედ ექვსიოდე ახალი მმუსრავი მოსავლის მტრებისა ზღ ამითიც არ დაკმაყოფილდნენ. მესამედაც დასდო დედალმა კვერცხები და კიღევ გამოჩიკა ბარტყები. ამათაც იმდენი ქია-მატლი იმსხვერპლეს, რამდენიც ორმა წინა რიგმა ბარტყებისამა.

ასე, რომ საშინელს ჟღერას მოსავლის მტრებისას ბელურები დაიწყებენ ხოლმე გაზაფხულის დამდეგიდან და შემოდგომის დაწყებამდინ აგრძელებენ, თითქმის ექვსი თვის განმავლობაში. ახლა თქვენ იანგარიშეთ, რა აუარებელ მწერს აშორებენ ბელურები ქინახულსა და რა რიგად უწყობენ მხენელ-მთესველს ხელსა.—

4



ეტადრე დიდს სიკეთეს უშვრება ჩიტი ბოსტნეულობასა. შველას უნახავს ბოსტანში ლამაზი, თეთრი პებელეები. მსენი მუღამ დაფრთხილებენ კომოსტოს ახლო, დასტრიალებენ თავსა, თამაშობენ, ცელქობენ ზღ ბოლოს ჯდებიან კომოსტოს ფოთოლზე. ღიდ ხანს სხედან ზედა. რადა? იმად, რომ იმ დროს სდებენ ოცობით პაწია მოყვითალო კვერცხებსა. ათ დღეს შემდეგ ყოველი კვერცხიდან გამოდის ერთი წიწკნა მოყვითალო მატლი, რომელიც კომოსტოს ფოთოლს მაშინვე ქამას დაუწყებს ხოლმე. რა იცოდეთ, რა ღორმუცელაა ეს მატლი. ღდეში სთქვლეფავს სამჯერ უფრო მეტს კომოსტოს თავისს წონაზე, და მღვევიით იზრდება. როცა კვერცხიდან ძვრება, ხაშხაშის მარცვლის ოდენა ძლივს არის, ორი კვირის შემდეგ კი ვეებერთელა, გოჯის სიგძე მა-

ტლი ხდება. ახლა იფიქრეთ, რავდენს ბოსტნეულს გააოხრებს ეს ღორმუცელა ორ კვირაში. მაგრამ ეს მარტოდ-მარტო როდი აოხრებს ბოსტანსა. მის ბევრი სხვა ამხანაგი ჰყავს. მითო პეპელა ოცობით და ასობით სდებს კვერცხებსა, და ამისთანა პეპელები კი ყოველ დღე ბევრნი დაფთხრიალებენ ბოსტანში. რაც უნდა მხნე და ბეჯითი მებოსტნე იყოს, ამ მატლებს ვერ მოაშორებს ბოსტნეულობასა. მს ბოსტნეულობა მთლად მოსცდებოდა, ჩვენ დავრჩებოდით უკომოსტოდ და უმწვანილოდ, რომ ბოსტანს დღისით არა ჰყავდეს მცველად ბელურა ჩიტები. მსენი დილიდან საღამომდინ დახტიან, დაფთხრიალებენ ბოსტანში, შინჯავენ ბოსტნეულობის ღეროებს, ფოთლებს, ყვავილსა და ყლაპავენ პეპელების კვერცხებს, მატლებს, ჭიებსა.. არც ერთი მეველე არ შეედრება მათ.

ბელურა ჩიტს იქაც კი უჩინარი სარგებლობა მოაქვს, სადაც აშკარად ვხედავთ მისგან ზარალსა. მოისმინეთ.

მართა მებალემ ერთს ბალს სიმწიფის დროს ბაღე გადააფარა, რომ ჩიტები ვერ მისდგომოდნენ და არ ეკენკათ. მეორე ბალი კი ისე თავ-ახდილი დასტოვა. ღა რა მოუხდა? დახურული ბალი სულ მთლად დაჭიანდა და აღარ იქმევოდა, ახდილზე კი მშვენიერი საღი ბალი დამწიფდა, თუმცა აქა იქა კი იყო ჩიტებისაგან გაკენკილი. როგორ მოხდა ესა? ახდილს ბალზე რაც ჭია-მატლები იყო, ჩიტებმა ვადაყლაპეს, მოაშორეს ბალსა, დახურულს კი ვერ მიუდგნენ და მასხედ გამრავლდა ჭია-მატლი და გააოხრა ბალი. — ძაცმა რომ ქურდებს გადაგარჩინოს და ცოტაოდენი საჭმელი დაგაკლოს, განა ის დიდი მოკეთე არ იქნება შენი? აქაც ასე არის... ბელურა ჩიტი ებრძვის მოსავლის მტრებსა და თავისს გამოსაკვებად გვაკლებს ცოტაოდენს რასმე ჩვენი საკუთრებიდან, მოსავლიდან. მანა უდიერება არ იქნება გავამტყუნოთ და მტრად გადავეკიდოთ?

საზოგადოდ მართალია, რომ ბელურა ჩიტი გვიჭამს, მაგრამ რავდენს და რასა? ცოტაოდენსა და უფრო იმისთანა რამეს, რომელსაც ჩვენ ვეღარ გამოვიყენებთ. სჭამს მარცვლებს

ქინახულისას, კალოს პირზე დაბნეულსა, სჭამს კარზე გადაყრილს რასმე, სჭამს წისქვილში წაღებული ტომრებიდან გაბნეულს მარცვლებს, სჭამს ბზეში ჩაყოლილ პურსა, და სხვებსა. **ღ**ა ამისთანა შეუღარებელი მოჯამაგირესათვის განა ალალი არ უნდა იყოს ესა? **შ**გუნური ადამიანი-კი სდევნის იმ თავიდან ბელურა ჩიტებსა, ესვრის ჯოხსა, ახელს ქვებსა, უგებს საბძღვებში ფაცრებსა და ცდილობს გაჟლიტოს მთლად თავისი მოსაველის მცველნი, მფარველნი..

5.

**მ** უსამართლო დევნას ერთი დიდი სიკეთე უქნია ჩიტისათვის. **ღ**აუჩვევია საოცარს სიფხიზლეს, სიმარდეს და სიმარჯვეს. **ბ**ელურას მოტყუებაზე ძნელი არაფერია. **რ**აც უნდა ეშმაკური მახე დაუფოთ, შიგ არ გაეზმის; რაც უნდა გემრიელი მარცვლები დაუყაროთ, ახლო ვერ მიიტყუებთ დასაჭერად. **თ**უ ხელში არაფერი გიჭირავს, თითქმის ფეხებ შუა გაგიძვრება და ცხვირ წინ აგიკენკავს დაბნეულს მარცვალსა. **მ**აგრამ თუ შენ ხელში დაინახა ჯოხი, მაშინ ახლოც არ მიგიკარებს. **ჭ**ვა რომ რავდენისამე ნაბიჯის მანძილზე ესროლო ბელურას, ვერ მოართყამ, უთუოდ აიციდენს, ისეთი მარდია. **შ**თვალავ გუნდში რომ ჯოხი გაურიო, ვერც ერთს ვერ მოხვდება, ყველანი აიციდენენ. **ღ**ორმა რომ კენკის დროს შეუტიოს, აფრინდება ოც ზედ ზურგზე დააჯდება. ასეთსავე სიმარჯვეს იჩენს ჩიტი ფრანველების შესახებაც. **ა**ი ბელურა ჩიტი ზის ეკლის ბუჩქის კენწეროზე. **ქ**ორმა თვალი მოჰკრა და წამოვიდა მისკენ ჩუმი ფრენით. **ჭ**რთხილმა ბელურამ ეს კარგად შენიშნა, მაგრამ ისე-კი უჭირავს თავი, თითქო არაფერი იცოდეს. **ქ**ორი მოუახლოვდა და თავისი კლანჭებით დააცხრა, მაგრამ რასა? ჩიტსა? **მ**სე ეგონა ქორსაც, მაგრამ ჩიტის მაგიერად მან დაბლუჯა ეკლები, დაიფხაჭნა, დაისისხლიანა ფეხები. **ს**ახტად დარჩა, სულელივით გაშტერდა, გამწარდა. **რ**ოგორ მოხდა ესა? ჩიტი სწორედ მაშინ აფრინდა საო-


ცარი სისწრაფით და ტყვიასავით შევარდა იქვე ახლო ეკლის ბუჩქში, როდესაც ქორმა, მეტის ნდომით თვალ-დაბნელებულმა, თავისი ბჭყალები მიატანა. აღრე რომ აფრენილიყო, ქორი ეკალს აღარ და-აეცხრებოდა და დაუსჯელი დარჩებოდა. მო-ტყუილებულს ქორს საშინელი ბრაზი მოსდის, იცის, რომ ეშმაკი, გაქნილი ჩიორა, მისი დამს-ჯელი, მომატყუებელი, იქვე, იმის ნისკარტის წინ ზის ეკლიანს ბუჩქში; მაგრამ რას იზამს, ეკლები მას ბუჩქში არ შეუშვებენ, და ჩიტი-კი შიგ არხეინად ზის და თითქმის გამოსძახის: ჰე, მოგხვდა, თუ არა, ქურდ-ბაცაცა, საძაგელო მტაცებელო!



ასე, ბელურა ჩიტი არამც თუ დიდი მოკეთეა ჩვენი ზე ჩინე-ბული მეგობარი, არამედ ძლიერ ჭკვიანი, მარდი, გულადი, ოს-ტატი. სრული სიყვარულის და მფარველობის ღირსია, და ჩვენ-კი მას ვდევნით. მეტი უსამართლობა და უგუნურება იქნება?

რას გვასწავლის ნათქვამი? იმას, რომ ჩიტის ბუდე თავისს დღეში არ უნდა გამოვშალოთ. შოველი ბუდე კოლობით გვმა-ტებს მოსავალსა, მისი გამოშლა კი ამდენსავე გვაკლებს. არ უნდა ვესროლოთ ჯოხი, ან ქვა და არ უნდა დაუგოთ ბადეები ზამთრობით; პირიქით, ცივს ზამთარში, როდესაც შიმშილისა და სიცივისაგან ბევრი ჩიტი იყლიტება, ჩვენ უნდა საკენკი გადაუყაროთ ხოლმე და ნება მივსცეთ თავი-შეიხიზნონ ჩვენს სადგურს ახლო, ჩვენს დერეფნებში და ყოველ-გვარი მფარველობა გავუწიოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოვე-ლი ბელურა ჩიტი ბევრად უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, ვიდრე ქათამი, იხვი და ბატი, რომლებზედაც იმდენს ამაგს და ხარჯსა-ვსწევთ. ბელურა ჩიტი კი არც ხარჯსა გვთხოვს და არც მოვ-ლასა, მარტო მცირეოდენს შეწყნარებას ითხოვს. მხოლოდ-გაზაფხულსა, ზაფხულსა და შემოდგომაზედაც ჩიტი არ უნ-და მივუშვათ თავისუფლად მარცვლეულობასა და ხილზე, რად-განაც მით უფრო მეტს მწერსა ჟღეტს, რადენიც უფრო მში-ერია. —





## უდანაშაულოდ დასჯილი თხუნელა.


### 1

**ა**ლსა და მინდორში იზღება ბალახი, კინახული და სხვა ბევრ-გვარი მცენარეობა. მცენარეებს ქვემოლ მიწაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები, რომლითაც ისინი სწუწნიან მიწიდან ნოყიერს ტენსა და იზღებიან. აქვე მიწაში სცხოვრებენ სხვა და სხვა მატლები და ჭიები. ეს მატლები და ჭიები იკვებებიან მცენარეების ფესვებით; ამის გამო ბევრს მცენარეს ახდენენ, რადგანაც, რაკი ფესვები უფუჭდება მცენარესა, მალე ყვითლდება და ხმება.

იქვე ღრმად ბნელს მიწაში ბინადრობს თხუნელა. თვითონა სთხრის მიწაში სოროსა და შიგ ჰვენს ხმელს ბალახსა და ფოთლებსა. სოროს ვარშემო თხუნელა აკეთებს ორს დიდს სავლელსა, ერთს ზემოდ, მეორეს ქვემოლ; ამ უმთავრესი კვლების გარდა თხუნელა დიდი შრომით და ბევჯითობით სთხრის აქეთ-იქით გძელს პატარა კვლებსა, დადის ამ კვლებში, ეძებს და პოულობს მცენარეების ფესვების მტრებსა—მატლებს და ჭიებს—და ჰყლაპავს მათ. ეს დიდი სიკეთეა მთელ ქვეყნისათვის: ბევრი მცენარის ფესვებს გალაარჩენს ხოლმე დახვრასა და შექმასა. მთელს თავას სიცოცხლეში არც მებაღებესა და

არც მხენელ-მთესველებს თხუნელა კარგი სამსახურის მეტს არაფერს უწევს.

თხუნელას სორო.



2.

**მ**აგრამ უსწავლელმა გლეხმა არ იცის ესა. შედის ბაღში და ხედავს გაყვითლებულს და გამხმარს მცენარეებსა. ამასთან ამჩნევს თხუნელასაგან ნათხარ მიწასა და მის გრძელს კვლებსა; მაგრამ მატლებს და ჭიებს კი ვერა ხედავს, რადგანაც ისინი დამალულნი არიან მიწაში. ზღვებს ჰგონია, რომ თხუნელამ დაკემსა მცენარეების ძირები და გააფუჭაო. მას აბრალებს თავისს ზარალსა და ამიტომ გულში სწყევტს თხუნელას მოკვლასა. ამზადებს მართულის მახეს, უგებს სწორედ სოროს ამოსავალში და მიდის შინა. ჯათის მოყვარე ცხოველი ამოდის თავისს სოროდან ზემოდ, წყლის დასაღვევად, ვერ ამჩნევს მართულის მახეს, მის სოროს პირში დადგმულსა, ებმება შიგ ღ იღუპება. მეორე ღღეს გლეხს უხარიან, ჩემი მცენარეების მტერი მოკვალიო; ის-კი არ იცის, რომ იმან დაღუბა თავისი ერთგული მოკეთე. ის-კი არ იცის, რომ ეხლა მატლები გამრავლდებიან და უფრო მეტს ზარალს მისცემენ ბაღსა.

უდანაშაულოდ დაღუპულს თხუნელას დარჩა მოზრდილი შვილი. უგუნურმა მებაღემ მარტო მამა არ მოუკლა უდრო-

უდროდ. იგივე უბედურება მიაყენა მის პაპასა. რას იქმს ახლა ჩვენი ახალგაზდა თხუნელა? იქნება გლახ-კაცზე ჯავრი იყაროს და მისი მცენარეულების ძირები დაკემსოს? არა, ის ამას თავისს დღეშიაც არა იქს; თხუნელა მებაღეს სამაგიეროს არ გადაუხდის; პაპასავით და მამასავით მარტო მატლებზე და ჭიებზე ინადირებს და ამითი ბევრს მცენარეს გადაარჩენს გახმობისაგან. თუნდაც რომ გლახმა ამასაც დაუდგას მახე დასაქერად, მაინც თხუნელას ხასიათს ვერ გამოაცვლევინებს.

ბოლოს მოდის მცოდნე კაცი და ესარჩობა საწყალ ცხოველსა, რომელსაც უთქმელობის გამო თავი ვერ გაუმართლებია და ვერ შეურცხვენია გლახის უგუნურობა. მცოდნე კაცი აჩვენებს და უხსნის გლახსა, რომ მახით დარჩობილი თხუნელის მუცელი სავსეა მხოლოდ მატლებითა და, ჭიებით და იქ არ იპოვება არც ერთი ნამცეცი მცენარის ფესვი. ასწავლის, რომ თხუნელას არ შეუძლია სჭამოს მცენარეობა, რომ ის მხოლოდ ხორცეულით სცხოვრებს, რომ ახალგაზდა ხეხილები ხმებიან და ფუჭდებიან მატლებისა და ჭიებისაგან, რომლებიც ხის ფესვებზე ისე შეკუნწულნი არიან, როგორც ყურძნის მტევნები და რომელთაცა ჟღერს თხუნელა. მაშინ გლახი გრძნობს და რწმუნდება, რომ პატარა მხნე ცხოველი, შავი ხავერდის მსგავს ტყავში გახვეული, მისი უკეთესი მეგობარი და შემწე ყოფილა ღ არა მტერი. ამის შემდეგ ის ბეჯითად სცდილობს, რომ თხუნელის ჩამომავლობა გაამრავლოს თავისს მამულში. —

# ღ ა მ უ რ ა .

## 1.

**მ**აფხულის ცხელი დღე დაღამდა. მიიმალ-მოიმალნენ და ძილს მიეცნენ ფრინველებიც, სხვა ცხოველებიც და მწერებიც. თითქო შესწყდა ბრძოლა სხვა-და-სხვა სულდგმულებისა ერთმანეთთან; მაგრამ ეს ასე გვეჩვენება მხოლოდ, თვალი ვვატყუებს. ბრძოლის მოედანი ახლა სხვა სულიერებს დარჩათ. ღლის მეომარნი დაილაღნენ, მოსვენებას მისცეს თავი. ღამის მეომართ დღისით ეძინათ, ახლა გამოიღვიძეს, დასტოვეს თავისი ბუნაგები და სანადიროდ გამოვიდნენ. ამ ღამის სულდგმულთა შორის ბევრნი მავნებელნი არიან ადამიანისათვის, უფუჭებენ ბოსტანს, ვენახს, ყანას და სხვა-და-სხვა ქინახულსა, უფუჭებენ ჩუმად, უხილავად და დაუბრკოლებლივ. შოველ-გვარ მოსავალს ბოლოს მოუღებდნენ ეს ღამის მცარცველები და ქურდები, ადამიანს რომ არა ჰყოლოდა ღამის სულდგმულთა შორის ზოგიერთი მოკეთე, მეგობარი, მცველი და მფარველი მისი ქინახულისა. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ღამურასა, რომელიც ღამით ჟღერს მავნე მწერებს და ხელს უწყობს მოსავალსა. ბედურა ჩიტი ხომ ისეთი სასარგებლო გამოდგა, ღამურა კიდევ უფრო მეტს სიკეთესა სძღვნის ადამიანსა. ჩიტი ცოტაოდენს ზარალს მაინც გვაძლევს, ღამურა კი სიკეთის მეტს არას გვიშვრება, იოტის ოდენა ზარალიც კი არ შეუძლია. ჩვენ კი უცოდინარობის გამო გვძულს ეს ფრიალ სასარგებლო, ყოველად უვნებელი სულიერი და მზადა ვართ ყოველთვის ვტანჯოთ და მოვკლათ იგი. ჰკვიანები ვყოფილვართ, განა? ბავიცნოთ ახლო ეს ჩვენი ულაზათო, უშნო, მაგრამ ძლიერ სასარგებლო მეგობარი.

2.



მეტად უცნაური ცხოველია ღამურა. რომ გკითხოთ, რა სულდგმულია ღამურა? თქვენ მომიგებთ: რალა კითხი უნდა, ფრინველიაო. ღიად, ღამურამ სწრაფი და მარდი ფრენა იცის, და გვიანაც იღალემა; ფრენაში ბევრით



სჯობია ბელურა ჩიტსა და თვითონ მერცხალსაც კი არ დაუვარდება; მაგრამ ფრინველი კი არ არის, — ეს სჩანს დღესავით ცხადად იქიდან, რომ არც კვერცხებსა სდებს და არც ბარტყებსა სჩეკს, არამედ შობს ცოცხალს შვილებსა და ზრდის მათ თავისი საკუთარი რძითა, როგორც ძროხა, ცხვარი, ღორი, ძაღლი, კატა და სხვანი. ამის გარდა, ღამურას ტანზე ბუმბული კი არ ასხია, ბალნით არის შემოსილი. მართი სიტყვით, რძიან ცხოველებს ეკუთვნის. მაგრამ სხვა ფრიგ კი სრულიად არა ჰგავს მათ. მთელი ტანი ერთს პატარა მოგრძო გუნდას მიუგავს. მოკლესა ო უძრავს კისერზე აბია პაწია თავი, ერთი ბეწვა თვალეებით და ვეებერთელა ყურებითა, ფეხები მოკლეები ასხია. ჭველაზე კი შესანიშნავია წინა ფეხები ღამურასი. მს ფეხები ფრთებად აქვს გადაქცეული. ჭოველი ძვალი ამ ფეხებისა გაშლილია და მეტად დაგძელებული. მხოლოდ ცერს აქვს თავისი ბუნებრივი სახე და თავდება მოკაუჭებული ფრჩხილითა. ღანარჩენი ოთხი თითი ორივე წინა ფეხისა, მეტის მეტად გაშვერილი გძლად, მოკლებულია სრულიად ფჩხილებსა. მს წინა ფეხების ძვლები გაერთებულია სიფრიფანა, მაგარი და გასაქიმი კანითა. მსეთივე კანი მიდის წინა ფეხების მეხუთე თითებიდან გვერდებამდინ. უკანა ფეხებიც გაერთებული არის კულთან ამისთანავე კანითა. მთელი ეს რეზინივით გასაქიმი კანი შეადგენს ერთს ვეებერთელა ფრთასა. ღამურას როცა ფრინვა მოუნდება, ამ კანს გაქიმავეს სრულიად, სწრაფად აქნევს წინა ფეხებს — ფრთებსა და დასრილებს ჰაერში. ფრინვის დროს მიხვევ-მოხვევაში ისეთსავე ოს-

ტატობას იჩენს, როგორსაც მერცხალი. სამაგიეროდ, მიწაზე ღამურა უსაცოდავესი რამეა. სიარული სულ არ შეუძლია; პაწია უსუსური ბავშვისავით დაფორთხავს და ისეთი ტაატიო მოძრაობს, რომ ჩათლახ კუსაც კი შეუძლია გაასწროს სიარულში.

3.



ღამურას სიცოცხლე სავსეა უცნაურობით. უმეტესს ნაწილს სიცოცხლისას ძილში ატარებს. ღადგება თუ არა შემოდგომა, ღამურა საცალა ქრება, თვალს ვეღარ მოჰკრავს კაცი. სად არის? იქნება უცხო ქვეყნებში მიდიოდეს? არა, ჩვენსავე ქვეყანაში რჩება, მხოლოდ იმალება მიყრუებულ ადგილებში, სადაც ათობით და ოცობით მოიყრიან თავს ღამურები, ერთმანეთს მიეკრობიან, უკანა ფეხებს მოსჭიდებენ მაღალს რასმე მაგრად, დაეკიდებიან თავ-დაღმა და სძინავთ მთელს ზამთარს გაზაფხულამდინ, ექვსი თვის განმავლობაში.

მაგრამ აი გაზაფხულდა, ტყე შეიმოსა ფოთლითა, მცენარეებმა იწყეს აყვავება, და ჰაერში მორთეს ფრთხილი და ფუსფუსი უთვალავმა მწერებმა. სწორედ ამ დროს იღვიძებს ღამურა თავისი ექვსი თვის ძილიდან და საღამო ჟამზე გამოდის სანადიროდ. ექვსი თვის მშვიერია და ადვილად მიხვდებით, რა გამგელებული უნდა ნადირობდეს. რაზე ნადირობს? ამას ვერ გაორჩევთ, რადგანაც ღამეა და ღამურაც ისე სწრაფად დასრიალებს ჰაერში, რომ ხეირიანად თვალსაც ვერ მოჰკრავთ. ამის შეტყობა მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ, თუ მოჰკლავთ ღამურასა და კუქს გაუშინჯავთ. ატუტი აღმოჩნდება სავსე სხვა და სხვა პეპელებით, კიებით, მატლებით, ბუზებით და სხვა ქინახულის გამფუჭებელი მწერებითა. ამ მწერებს იჭერს ჩვენი უცნაური მონადირე თავისი განიერი პირით, რომელშიაც უსხედს მაგარი და მჭრელი კბილები. როცა სანადიროდ გამოდის, ჯერ უვლის გარშემო თავისს სადგურსა და ხოცავს მწერებსა; მერე

თან-და-თან უფრო შორს მიდის და ვაი იმ პეპელებსა და ბუზებსა, რომელსაც იგი თვალს მოჰკრავს. მაგრამ ისე თვალი არ უჭრის, როგორც სმენა. სმენა ღამურას ისეთი მახვილი, ისეთი ძლიერი აქვს, რომ არც ერთი სულდგმული არ შეედრება მას. საკმარისია მცირეოდენი ვაფაჩუნება, ოდნავი შრიალი მწერისადიდ მანძილზედაც-კი, რომ ყურმახვილმა ღამურამ გაიგონოს და ნაშინვე იქით გაეშუროს. ღამურა დაჰქროლავს, იჭერს მწერებს მარჯვნივ და მარცხნივ, ყლაპავს იქვე, ფრენის დროსა, ჭმხოლოდ ფრთები ჭ ფეხები შექმული მწერებისა სცვივა მიწაზე. ასე ნადირობს ღამურა ორის, სამი საათის განმავლობაში და თუ ისვენებს ხანდიხან, ისიც რავდენიმე წუთით. შერ მოსთვლის კაცი, რავდენს მწერს ჩანთქავს ამ ნადირობის დროს. ბოლოს გაძღა ჩვენი ღორმუცელა, ტანი დაუმძირდა, ფრენა გაუძნელდა, დაღალულობა იგრძნო, გაეშურა თავისი ბუდისაკენ და ღრმა ძილს მიეცა. ბარიჭრაჟის წინედ კიდეც გამოედვიდა, ამ სახითვე ჟლიტა და სჭამა მწერები და დილა ადრიანა ისევ დაიძინა მთელი ღლითა.

მაგრამ ღამურა ყოველ ღამე როდი ნადირობს. თუ წვიმა მოდის, ან ქარი ქრის, ან ნისლი სდგას, ღამურა თავის ბინას არა სტოვებს და ისევ სიმშილი ურჩევნია. საზოგადოდ ღამურა დიდს სიმშილსაც ადვილად იტანს და დიდს გაძლომასაც ირგებს. მქვსი თვე სძინავს უსაჭმლოდ და უსასმლოდ, სრულს მარხვას ინახავს,—ექვსს თვეს კი ყველიერს იყენებს და თავს უმასპინძლდება იმისთანა სულდგმულებით, რომელნიც ძლიერ მაზარალებელნი არიან მოსავლისათვის.

4.



იალ, მანვე მწერების მყლეტელთ შორის ღამურას უჭირავს ერთი უბირველესი ადგილი. შამისოდ ღამის მწერები ისე გამრავლდებოდნენ, რომ ადამიანს სიცოცხლეს გაუძნელებდნენ, გაუმწარებდნენ. ერთი მსწავლეული

ამბობს: ღამურა რომ დედა მიწის ზურგზე გასწყდეს, ღამის მავნე მწერები ისე გამრავლდებოდნენ, მოკლე ხანის განმავლობაში, რომ მათი მატლები მცენარეებს გადასთქვლეფავდნენ, ტყეები გაქრებოდნენ და ადამიანი კარგს მოსავალს დანატრდებოდაო.

რავდენიც ახლოა ღამურას ბუდე რომელსამე ადგილზე, იმდენი უფრო სასარგებლოა ამ ადგილისათვის. თუ დიდი ხის ფულუროში იკეთებს ბინასა, მაშინ ტყეში ან მინდორში დანადირობს ღამით და ტყის და ქინახულის მცველი არის, თუ კოშკის ნაპრაღში, ან ნაოხრებში იბუდებს, ბოსტანსა და ვენახებს უხაროდეთ. საზოგადოდ, ღამურა ირჩევს ბინად იმისთანა ყუდრო კუთხეებს, სადაც არა ხვდება არც ქარი, არც მზის შუქი და სიცივეც ნაკლებად უდგება.

ღიად, დიდი, ძლიერ დიდი მადლობის ღირსია ჩვენგან ეს ცხოველი, თუმცა უშნო და ულახათო, მაგრამ ფრიად სასარგებლო და დიდი სიკეთის მომტანი. როგორც შაქარში არ მოიპოება მკირედი სიმწარეც, ისე ღამურას ცხოვრებაშიაც ვერ იპოვნით მკირეოდენს ზარალს, ადამიანისათვის მიყენებულს. შოველი თავისი ნაბიჯით იგი ბევრს ჰმატებს მოსავალსა და სრულიად არაფერს ითხოვს თავისი გამოკვებისათვის. ამის გამო ჩვენ დიდს სისულელეს და უსამართლობას ჩავიდენთ, თუ ამ დღიდან ჩვენი მტრობა მეგობრობაზე არ შევცვალებთ, არ გავუწიეთ მფარველობა ღამურასა, არ დავეხსენით მისი ბუდის მოშლასა, მის დევნასა და არ ვეცადენით, რათა ღამურები ჩვენს ახლო დაუბრკოლებლივ ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ. ჭაკი, რომელსაც არ ახარებს ღამურების ახლო დაბინავება, როგორც შეუდარებელის და მუქთის მოჯამაგირისა, არის უფიცი და თავისი თავის მტერი.






# მერცხალი

1.



მერცხალი თითქმის შინაური ფრინველია. მუდამ ჩვენს გარშემო ტრიალებს, ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ჩვენს სახლებში აკეთებს ბუდესა და ჩვენ თვალწინ ზრდის შვილებსა. რატომ გვეტანება? იმიტომ, რომ იცის, ადამიანს მოვსწონვარ, ვუყვარვარ, შემხარის და ჩემს ცუდს არას დროს არ მოინდომებსო. პირიქით, თუ გარეულმა ონავარმა ფრინ-



ველმა ჩემი ბარტყების დატაცება მოინდომა, ადამიანი ნებას არ მისცემს და კუდიტ ქვას ასროლინებსო. სწორედ ასეც

არის. მერცხალი სტუმარია ჩვენი, მაგრამ ყოველთვის სანატრელი, ყოველთვის სასიამოვნო. სხვა სტუმარი, ქართული ანდაზით, პირველ დღეს ოქროა, მეორე დღეს ვერცხლი, მესამე დღეს სპილენძი, მერცხალი კი სულ მუდამ ოქროა ჩვენთვის. მისი დანახვით ვსიამოვნებთ, მარდი და ლამაზი ფრენით ვერთობით, ჭიკჭიკით ვსტკებით. მის მოსვლას უცხოეთიდან აღტაცებაში მოვეყვართ, რადგანაც ეს არის ნიშანი სანატრელის გაზაფხულის მოახლოებისა, დადგომისა. მერცხალი ჩვენთვის არის წყარო დიდი სიამოვნებისა და ჩვენც გვიყვარს და კარგს შეგობრობას ვუწევთ. ამ სიყვარულს ისიც აძლიერებს, რომ მერცხალი ჩიტივით არც მარცვალს გვიჭამს და არც ბაღს გვიკენკამს. ის სცხოვრობს, იკვებება რაღაც სხვა რამითა; მაგრამ უბრალო კაცმა სრულიადაც არ იცის, თუ რა არის ეს უჩინარი საჭმელი. მე ეხლავე აგიხსნით ამასა და მაშინ უფრო კიდევ მომეტებულად შეიყვარებთ ჩვენს ძვირფასს ჭიკჭიკა მეგობარსა.



როიან ერთგვარი მწერები, რომელნიც ადამიანს დიდს უსიამოვნობას აყენებენ, საშინლად აბეზრებენ, სტანჯავენ. ბუნების მეტყველები მათ ეძახიან ორ-ფრთოვან მწერებსა. რომელნი არიან ესენი? მსენი არიან ჩვენი კარგი ნაცნობები: ბუზები, კოლოები, ქინკლები. შრიცხვი ბუზები სცხოვრობენ ჩვენს სახლში, გვიბილწავენ საქმელს, გვკბენენ, ჭამას გვიშლიან, საქმეში ხელს გვიცრიან, არ გვაძინებენ, მოსვენებას არ გვაძლევენ. ძოლოები და ქინკლები თავისი კბენით ტანს გვატკივებენ, გვაწვალებენ, მუშაობას გვიშლიან ტყეში, მინდორში, მეტადრე მეთევზეობას აბრკოლებენ ძლიერ. შინაური საქონელი ხომ კიდევ უფრო მომეტებულ ტანჯვაშია ამ ორ-ფრთოვან მწერებისაგან. თავისი განუწყვეტელი კბენით საქონელს უშლიან სძოვოს ბალახი, მშვიდობიანად დაისვენოს. ამქლებენ, ღონეს აკლებენ, მოთმინებიდან გამოჰყავთ, ილაჯს უწყვეტენ, ხან კლდეზედაც კი გადასჩეხავენ ხოლომე და პატრონებს დიდს ზარალს აძლევენ ყველა ამითი. ძიდევ უფრო უარესი იქნებოდა ადამიანის და შინაური საქონლის მდგომარეობა, რომ ამ მწერებს არა ჰყავდეთ დაუძინარი და მოუღალავი მტერი. ეს მტერი არის ჩვენი ჭიკჭიკა ფრინველი, ჩვენი საყვარელი მერცხალი.

მერცხალი დილის გარიჟრაჟიდან საღამოს ყამამდინ დაუღალავად დანადირობს ბუზებზე, კოლოებზე, ქინკლებზე და სხვა ამ გვარ მწერებზე. როცა მერცხალი დაფრინავს, ხშირად გაუხვ-გამოუხვევს ხოლომე, ხან ზეით ასრიალდება, ხან ქვეით ჩამოვა, თითქო რალაცას ეთამაშებაო. მაგრამ ეს თამაში არ არის. მერცხალი ამ დროს იჭერს ჰაერში მყოფს უჩინარს პატარა მწერებსა და ჰყლაპავს. მართალია, ჭიკჭიკა უნისკარტებს პატარა პეპლებსაც, მფრინავ ქიებსაც და სხვებსა, მაგრამ მიინც დევნა და ჟღერა ზემოდ მოხსენებული გამაბეზრებელი მწერებისა პირველი საქმეა მისი.

თუ ცხელი ღღეა და ჰაერი ხმელი, მაშინ მერცხალი მალა ჰაერში დაჰქროლავს; რისთვის? იმისთვის, რომ ამ დროს პატარა ბუზები, კოლოები და ქინქლები მალა არიან ასულნი და იქ თამაშობენ. ხან აქედან გაუქროლებს მერცხალი მოთამაშე მწერებსა, ხან იქიდან, იქერს თავისი პატარა ნისკარტით და გზავნის ჩინჩავში. მაგრამ აი ცა მოიღრუბლა, ჰაერში დატრიალდა სინესტე; კოლოებს, ბუზებს და ქინქლებს ფრთები სინესტისაგან დაუმძიმდათ და დაბლა დაეშვნენ. მერცხლებიც ძირს ჩამოჰყვნენ და ახლა მიწის პირად ნადირობენ. ეს ავდრის ნიშანია, ამბობს გლეხი, და არა სტყუებდა.

3.



რ-ფრთიან მწერებს შორის არის ერთგვარი პაწია ბუზი, რომელიც ხშირად ღუბავს პურის და დიკის მოსავალსა. თვითონ ეს ბუზი უვნებელია; მაგრამ თავისს კვერცხებსა სდებს პურის ღეროში თავთავის მოსხმის დროსა და ამ კვერცხებიდან გამოდიან მატლები, რომელნიც გულს უქამენ ნედლს მარცვალსა და აფშუტებენ. ამ მავნე ბუზების პირველი მტერი არის მერცხალი. ეს თვალს ადევნებს ყანებს თავთავის მოსხმის დროსა და შეამჩნევს თუ არა, რომ ბუზების გუნდი მოფრინდა ყანაში კვერცხების დასადებად, ერთნაირად დაიჭყივლებს, შეატყობინებს ამ ამბავს სხვა მერცხლებსა და ესენიც მიაშურებენ ყანისაკენ. ღაერევიან ბუზებსა, უნისკარტებენ, იქერენ, ჟღეტენ, სქამენ. არ დაითვლება, რადენს სიკეთეს უშვრება მხვნელ-მთესველს მერცხალი ამ ბუზების გამუსვრითა.

4.



სეთი სასარგებლოა მერცხალი კაცისათვის. ხოლო რადენად სასიამოვნოა, ეს წინედ დავინახეთ. ამიტომ თქვენ უთუოდ გესიამოვნებათ, თუ მერცხალს სხვა მხრივაც ვაგაცნობთ.—

ღადგება ენკენისთვის და მერცხლები სამხრეთისაკენ წასასვლელად ემზადებიან. მთხოვებიან თავიანთ ბუდეებს, გარს უვლიან, ერთად იკრიბებიან და მერე გუნდ-გუნდად გაუდგებიან ხოლმე გზასა. რაღა გვტოვებენ ასე ადრე? ნუ თუ აგრილების გამო? შრა, სიგრილისა მერცხლებს აგრე რიგად არ ეშინიათ. საქმე ის არის, რომ შემოდგომის ცივი ღამეები ჟღერს მწერებსა, და ამის გამო მერცხლებს საზრდო ელევათ. მერცხალი შემოდგომაზედაც ჩვენთან დარჩებოდა, რომ მარცვლეულობის და ხილეულობის ჭამა შეეძლოს; მაგრამ სრულიადაც არ შეუძლია ამ საქმლის ატანა. მართად ერთი მისი საზრდო მწერები არიან და ესენი კი შემოდგომის პირშივე თითქმის მთლად ქრებიან. მერცხალი უსაქმლოდ რჩება და ეშურება თბილის ქვეყნებისაკენ, სადაც მრავალი მწერია ამ დროსაც და სადაც ზამთარი არ იცის, მუდამ ზაფხულია.

თუმცა ცხელ ქვეყნებში მერცხლებს საქმელი უხვად აქვთ, არავინ მათ არა სდევნის და მოსვენებით არიან; მაგრამ სიმხიარულე კი არ ეტყობათ. ძალიან იშვიათად ქიკჭიკებენ, ბუდეებს არ იკეთებენ, კვრცხებს არ სდებენ, ბარტყებს არ სჩეკენ. ღედალ-მამალნიც ცალ-ცალკე ცხოვრობენ და აშკარად ეტყობათ დარდი. ასეთი მოწყენით არიან ცხელ ქვეყნებში არა მარტო მერცხლები, არამედ ყველა სხვა ფრინველებიც, რომელნიც ჩვენი ქვეყნიდან მიდიან საზამთროდ. მტყობათ, რომ იმ ქვეყნებს უცხოეთად სთვლიან, ჩვენი საქართველო კი თავის სამშობლო მხარედ მიაჩნიათ და ამის დარდი აწუხებთ.

ამის გამო მოატანს თუ არა გაზაფხული, მერცხლებს და ყველა სხვა ჩვენებურს ფრინველებს, უცხოეთში მყოფთ, დარდი გულიდან გადაეყრებათ ხოლმე, თავისს სამშობლოში წამოსვლა ახარებთ მათ და ამიტომ გააქვთ ჟივილ-ხივილი, ხშირად ვალობენ, დედალ-მამალნი ერთმანეთს უახლოვდებიან და ეთამაშებიან, ერთი-მეორეს ფრენაში ეჯობრება, და სხვანი. ბოლოს მამლებმა ერთად მოიყარეს თავი, ძახილით მოიწოდეს

სხვა თავისი ამხანაგებიცა, შეადგინეს დიდ-დიდი გუნდები და გაძოსწიეს სამხრეთისაკენ, ჩვენს ქვეყანაში. ზხაში ბევრი მათგანი იღუპება ადამიანებისაგან, მხეცებისა და ონავარი ფრინველებისგან; მაგრამ სხვებს აინოინშიაც არ მოსდით ესა და მხიარულად მოისწრაფებიან ჩრდილოეთისაკენ.

5.



ბილი გაზაფხულის დღე გამოვიდა. სოფლის დიდი და პატარა, ქალი და კაცი, შინიდან გარედ გამოიშალნენ და ბანებზე სტკბებიან თბილი და წმინდა ჰაერით. უცებ ერთმა შორმხედველმა ბავშვმა შეჰყვირა: „შენი ჭირიმე, დედავ, აგერ მერცხლები მოჰქრიან ჩვენსკენ. მს ხმა გადავიდა ერთი ბანიდან მეორეზე, ყველამ გაიხარა და სამხრეთისაკენ დაიწყო ცქერა. მერცხლების გუნდი მხიარულად შემოერია სოფელსა და შიგ დატრიალდა. „ზამარჯვებათ, ჩვენო მეგობრებო, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“, ეუბნებიან აქეთ-იქიდან სოფლელები, და მერცხლებიც თავისებურად მადლობას უხდიან, სალამს აძლევენ. მაშინვე თავიანთ ბუდეებს მიაშურეს, ნახეს, გაშინჯეს და დარწმუნდნენ, რომ ადამიანებს მათთვის ეს ბუდეები თითქმის ყველა ხელუხლებლად შეუნახავთ. ამის გამო სიმხიარულეს, ჭიკჭიკს და მარდს ფრენას უფრო უმატეს. მეორე-მესამე დღეს დედლების გუნდიც მხიარული ჭიკჭიკით შემოესია სოფელს. მამლები მალლა ავიდნენ ფრენითა და იქიდან ათვალისწინებენ დედლებს, უნდათ იცნონ თავისი დედლები მოსულებში და მიესალმონ. ბევრმა იცნო და მაშინვე მხიარულად მიუჭიკჭიკა თავისს დედალსა, ამასაც ძლიერ გაუხარდა თავისი მეგობრის ნახვა და ერთად იწყეს ტრიალი, ჭიკჭიკი და მხიარულება. მაგრამ ზოგი მამალი კი ძლიერ დაღონდა. მათი დედალი მეგობრები არსადა სჩანან. რა მიზეზია? არ მოჰყოლიან ამ გუნდსა და სამწუხაროდ არც შემდეგში

მოვლენ. შრთი დედალი მერცხალი ბოროტმა კაცმა გუნდის მოგზაურობის დროს მოჰკლა და შეახრამუნა, მეორე დაიჭირა ქორმა, როცა საშინლად დაღალული ამხანაგებთან იჯდა დასასვენებლად, მესამე წააწყდა ღამით ტელეგრაფის მართულს და სული განუტევა, მეოთხე დააბროწიალა ქარიშხალმა, როცა ზღვაზე მოფრინავდა სხვა მერცხლებთან ღ ძალა გამოუღია, დაქანცული წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. მაგრამ ამ სახით დაიქლიტენ არა მარტო ბევრი დედლები, არამედ მამლებიცა. ამიტომ ერთი გუნდის მომეტებული მამლები გადავიდნენ მეორე გუნდის მომეტებულ დედლებთანა, გაიცნეს, დაუახლოვდნენ, დაუმეგობრდნენ, შეადგინეს წყვილი და შეუდგნენ ბუდის განახლებას, ან ახალის გაკეთებასა.

6.



ბუდის კეთებაში მერცხლები დიდს ოსტატობას იჩენენ. მიფრინდებიან წყლის პირს, სადაც შავად გამოიციქირება სქელი, გაუმშრალი ტალახი და თავისი პატარა ნისკარტებით იღებენ ამ ტალახსა. პირით გადახელ-გადმოზეღენ, შემდეგ თავისი ღორწოიანი ნერწყვით დაასველებენ და მიარბევინებენ იქ, სადაც ბუდის ადგილი ამოირჩიეს. მიაკრეს ტალახი ორნივემ, გამობრუნდნენ და სწრაფად მოიტანეს მეორეჯერაც. მეორე ჯერს მოჰყვა მესამე, მეოთხე, მეხუთე და მთელი დღე ზიდეს, თითქმის შეუსვენებლივ, ტალახი და აკრეს ოსტატურად. მეორე დღესაც, ინათლა თუ არა, შეუდგნენ იმავე საქმესა და საღამო ჟამამდინ იმუშავეს. შოველ დღე იზრდება ბუდე, მაგრამ მის დასრულებას მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოესწრებიან მერცხლები. ზაკეთეს მრგვალი და ისეთი მკვიდრი ბუდე, რომ არამც თუ კელიდან, ფიცრიდანაც კი ვერ მოგლეჯავთ მას, თუ იარალი არ იხმარეთ. ბუდე ქვემოლ სქელია, ზეით თან-და-თან თხელდება, რომ სიმძიმე ძალა არ დაატანოს. პირი აქვს მრგვალი და განიერი, რომ ჩაფრენა-ამოფრენა ადვილი იყოს. ახლა ბუდის მორთულობას

შეუდგნენ. ღაპქროლავენ გარშემო ადგილებში, ეძებენ ბუმბულსა, ჩალაბულასა, ფრთებსა, იღებენ ნისკარტით, მიარბევენებენ ბუდეში და აგებენ შიგა. რავდენსამე დღეს ისეთი ფუფუ-



კი საფენი დააგეს ბუდეში, რომ თქვენი მოწონებული. ზაათავეს მძიმე შრომა და ახლა დედალი კვერცხების დებას შეუდგა. შოველ დღე სდებს თითო კვერცხს თხელ ნაჭუქას და ბჭყვრიალასა. მართი კვირის განმავლობაში დასლო შვიდი კვერ-

ცხი დედალმა და დაჯდა ზედა. ღიღს სითბოში აქვს კვერცხე-  
ბი და სჩეკს ბარტყებსა. **თუ** გაუცივდა, გაულაყდება. ამიტომ  
როცა დედალი ამოდის ბუდიდან საქმლის საშოვნელად, ან  
წყლის დასაღვეად, მაშინვე მამალი აჯდება ზეიდან კვერ-  
ცხებსა და ათბობს. **ბავა** ორი კვირა ჩეკაში და შიგ კვერცხე-  
ბის გულიდან ძოისმის რალაც ხმა, თითქო პაწია ჩაქუჩებს უჩა-  
კუნებენ შიგნიდანაო. **მს** სცემენ ნისკარტს ბარტყები ნაქუქ-  
სა, რომ გამოამტვრიონ და გამოვიდნენ გარედ. **აი** ერთმა გა-  
ტეხა ნაქუქი და გამოძვრა ბუდეში. **მას** მოჰყვა მეორე, მესა-  
მე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე, მაგრამ მეშვიდე კი ტყუილად  
აკაკუნებს შიგნიდან, ვერ გამოტეხა და ვერა ნაქუქი. **მტყობა**  
ნაქუქი ამ კვერცხისა უფრო სქელი ყოფილა და სუსტი ნის-  
კარტით ვერ მორეგია მას. **მაშინ** დედა მერცხალი სცემს გა-  
რედან თავისს ნისკარტს კვერცხსა, სტეხს მას და გამოჰყავს  
გარედ ბუდეში მეშვიდე ბარტყიცა. **ბარტყები** ამ დროს არიან  
ტიტვლები, უბუმბულონი, ბრმები, უძლოური, ვეებერთელა უშ-  
ნო თავები ასხიათ, პირი აქვთ განიერი, ყბები ყვითელ-ფერა.  
**ღედ-მამას** კი ესენი ძალიან ლამაზებად მიაჩნია, მათ დაბადე-  
ბას შეჰხარის და მათ კვებაში ატარებს მთელს დღესა. —  
**ბარტყები** გაუმადლარნი არიან, წამ-და-უწუმ აღებენ პირსა და  
ითხოვენ საქმელსა. **ღედ-მამაც** ახლა ერთი-ხუთად მეტს ირჯება,  
დაქროლავს გარშემო და მოარბევინებს საქმელს შვილებისათვის.  
**სამი** კვირის შემდეგ რომ ბუდეში ჩავიხედოთ, საშინლად გა-  
ვოცდებით. **ჩვენ** ვნახავთ შიგ დაზრდილ პატარა მერცხლებს,  
ლამაზებს და შნოიანებს. **რომ** დავუქშითოთ, დავაფრთხოთ, ერ-  
თი მეორის შემდეგ ბუდიდან ამოფრინდებიან და იწყებენ ფრე-  
ნასა. **უნებლიედ** ვეკითხებით თავსა: ნუ თუ ეს ის ტიტველა, წი-  
თელ-კანა, უშნო და მახინჯი ლლაპები არიან, რომელთაც  
ჩვენ ვხედავდით სამის კვირის წინედ ბუდეში? ნუ თუ ასე მალე  
მოასწრეს დაზრდა და შეიმოსნენ ხშირი და ფაფუკი ბუმბულითა  
და ფრთებითა? დიად, ამაში ეჭვი არ არის. **ახლა** თქვენ იან-  
გარიშეთ, რამოდენი საქმელი უნდა შეეჭამათ ამ ბარტყებსა,




რომ კაკლის ოდენა მახინჯები გადაქცეულიყვნენ შნოიან მერცხლებათ. მოიგონეთ, რომ ეს საქმელი შესდგება პაწია ბუზებისაგან, კოლოებისა და ქინქლებისაგან, რომელნიც თვალით ძლივსა სჩანან, დაფიქრდით ამაზე და იანგარიშეთ, რა აუარებელი რიცხვი ამ წვნიკი მწერებისა უნდა დაეჭირათ მერცხლებსა, რომ გაეზარნათ შვილებიც და თავისი თავიც გამოეკვებათ.

7



ო დააფრინეს მერცხლებმა ბარტყები. მეტად სასიამოვნო სანახავია. ჯერ ამოფრინდა ერთი ბარტყი, მას ზედ მოჰყვა მეორე, მერე მესამე და ერთის წამის განმავლობაში ყველანი აფრინდნენ და მწკრივად დასხდნენ ერთმანეთის ახლო ბანზე. ლედ-მამა გარს ევლება მათ, ფაცურობს, მოაქვს საქმელი, უდებს პირში, შესქიკვიკობს, შეჭხარის. უცებ ახალგაზდა და-ძმებმა დაიფრთხილეს ბანიდან და გასწიეს ფრენითა. შინჯავენ, სცდიან თავისს ნორჩს ფრთებსა. თავ-და პირველად ბარტყებს ფრენა არ ეხერხებათ, ხამობა ეტყობათ, მალე იღლებიან, ხშირად ისვენებენ; მაგრამ აი გავიდა რავდენიმე საათი და პატარა ბარტყებს გაოცებიდან გამოვეყვართ: ამ მოკლე ხანში ასე კარგად ისწავლეს ფრენა, ისე გავარჯიშდნენ, რომ დიდებიდან ძლივს-ღა გამოარჩიე. მიფრინავენ წინ დიდები და მათ ფეხ-და-ფეხ უკან მისდევენ ბარტყები, მისდევენ მარდად, ყოჩაღად. დიდები იჭერენ ამ ფრენის დროს მწერებს, ბრუნდებიან უკან და უდებენ პირში მიმდევარს შვილებსა. ხან მალლა ცაში ადიან და იქ ცელქობენ, თამაშობენ, მწერებს სდევნიან. პატარები დღითი დღე ღონივრდებიან, ყოჩაღდებიან, სწავლობენ დედ-მამისაგან მარდად ჭერას პეპლებისას, მწერებისას და გრძნობენ, რომ ახლა თვითონაც შეუძლიათ იცხოვრონ თავის-თავად, დიდების შეუწევნელად. ბავა ორი კვირა და სახლობა დაიშლება, წავლენ-წამოვლენ და ყველა ყმაწვილი მერცხალი ცალკე იწყობს ცხოვრებასა.—მერცხალი იმავე ზაფხულში მეორედაცა სდებს კვერცხებსა და სჩეკს შვი-


ლებსა, ასე რომ თითო დედალ-მამალი მთელ ღუეინს შვილებს დაზღის ხოლმე.



შველა ახალი გაზდილი მერცხალი ისეთივე ოსტატობით გააკეთებს ბუდესა, როგორც მისი დედ-მამა აკეთებდა, მხურ-

ვალედ ეყვარება თავისი ბარტყები, სამაგალითო იქნება თავისი დაუღალავი მხნეობით, სიმხიარულით, მავნე მწერების ჟღერით და საყვარელი იქნება ყველა ადამიანისათვის. მაგრამ განა მარტო ადამიანისათვის? არა, პატარა ფრინველებსაც-კი უყვართ მერცხალი, იმიტომ, რომ იმათაც ერთს დიდს სიკეთეს უშვრება. როცა ქორი მიპარვით უახლოვდება ფრინველებსა, ყველაზე აღრე ამას მერცხალი შეიტყობს ხოლმე, რადგანაც თითქმის მთელი დღე დაფრინავს ხან დაბლა, ხან მაღლა, ხან ერთს მხარეს, ხან მეორესა. შეიტყობს და ერთნაირად დასჭყვივლებს ჭამ ქვივილით უძახის ყველა ფრინველებსა: „არიქათ, ჰმებო, ავაზაკი მოდის, თავს უშველეთ, მიიმაღ-მოიმაღენით“. მსენიც დროზე მონახვენ ხოლმე თავ-შესაფარსა და გადარჩებიან. თვითონ მერცხალი-კი არსად იმალება, რადგანაც ქორისა სრულიადაც არ ეშინია. ისეთი უჩქარესი ფრენა იცის, ისეთი სწრაფი მიხვევ-მოხვევა, რომ ქორს მისი დაქერა სრულიადაც არ შეუძლია. მერცხალი საათში გარბის ასს ვერსსა, ქორი ამის ნახევარსაც ვერ გაივლის. რომ დაედევნოს, დაიქანცება, ილაჯი გაუწყდება და ვერაფერს გახდება. მერცხალი დაფრინავს ქორის გარშემო, დაცინვით დასჭყვივის, აჯავრებს და თითქო ეუბნება: „აი შე ავაზაკო, დარჩი თუ არა პირ-ცარიელი“. მოდი ამის შემდეგ და ნუ შეუყვარდებით პატარა ფრინველებს მერცხალი.

რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ყმაწვილი, ყველა ადამიანი იყოს იმისთანა კეთილი, უვნებელი, გამრჯელი, მხიარული, მოსიყვარულე, სასიამოვნო და სასარგებლო ქვეყნისათვის, როგორც არის მერცხალი!



## შოშია.

### 1.

**შ**ოშია ადამიანს თითქმის იმდენადვე უყვარს, რადენადაც მერცხალი. ღა საბუთიც აქვს. შოშია ლამაზი ფრინველია, მზზინავი ბუმბულის პატრონი, ოქროს ფერი ნისკარტი აბია, მეტად ცქვიტია და მზიარული ხასიათისა. მისი პირი დილიდან საღამომდინ არ დადგება, სულ ყბედობს, გალობს, უსტვენს, ტრიალებს, ცელქობს. რაც უნდა ცუდს გუნებაზე იყოს კაცი, შოშია დარღს უქარვებს; თავისი მზიარულობით და სიცოცხლით სავესე მოძრაობით კაცს თითქო ეუბნება:



რას ჩამოგიყრია ყურები, ესე ჩემსავით ყოჩაღად იყავიო. ჰიდევ ამიტომ ცდილობს ადამიანი თავის ახლო გააკეთებინოს ბინა ამ მზიარულს ღ ცოცხალს ფრინველსა. ასე გაშინჯეთ, ხის ბუდესაც კი უკეთებს და თავის კარ-მიდამოზე ამოსულს ხეზე ჩამოუქიდებს ხოლმე.

ჰიდევ უფრო მეტად შეიყვარებთ შოშიასა, როცა გაიგებთ, რომ ეს მგალობელი ფრინველი დიდი მტერია ჩვენის მოსავლის მტრებისა და მუდამ

იკვებება მავნე მწერებითა, რომლებზედაც მარჯვედ ნადირობს.

ზავიცნოთ ახლო ცხოვრება ამ სასიამოვნო და სასარგებლო ფრინველისა.

ზაზაფხულის პირზე, თბილის და კაშკაშა შუადღის დროს, მალლა ცაში სამხრეთიდან მოქრიან ჩვენსკენ გრძლად გამწკრივებულნი გარეული ბატები და იხვები. მათ შორის მოჩანან პატარა შავი ფრინველები გუნდ-გუნდად. შრენა ამათ ისეთი თავისებური აქვთ, რომ მაშინვე იცნობ და იტყვი: ესენი სწორედ შოშიები არიანო. მათი გუნდი ხან აქეთ-იქით ცაში იფანტება, მუქით გადაყრილი ცერცვივით, ხან ერთმანეთისაკენ გაექანებიან, შეერთდებიან და შეადგენენ ერთს შავს გუნდსა. შრენა აქვთ მარდი, ცქვიტი, თითქო თამაშობენო. აი თავის სოფელს მოატანეს, ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ჯგუფად შემოუარეს მას გარს და უცებ ტყვიასავით მიწაზე დაეცნენ სოფლის გვერდით მდებარე კორღზე. სასაცილო სანახავეები არიან შოშიები ამ დროსა: ისე დასხდნენ ახლად ამწვანებულს ბალახზედა ზე ისე გამოიქიმნენ, თითქო სალდათები იყვნენ, თავი მალა აიშვირეს, მოიყელყელავეს და გაშეშდნენ. ღარჩნენ ასე გაშეშებულნი რავდენსამე წამს. მერმე უცებ, ერთბაშად შეხტნენ, შემოტრიალდნენ, შეუდგათ ერთი ალიაქოთი და გაიქც-გამოიქცნენ აქეთ-იქით. რად? შიათ, ძალიან შიათ, საკმელს ეძებენ და ხარბად სკამენ. ზაძდნენ, მოიკლეს სიმშილიც, წყურვილიც და ყველანი გაეშურნენ ძველი ბუდეების საპოვნელად ზე დასაჩემებლად. ბუდეებზე ცილაობენ, ძმობას სრულიად ივიწყებენ: დიდი ჩხუბი აქვს ზოგსა და უნისკარტებენ ერთმანეთს, ბუმბულს აგლეჯენ, ჰკბენენ. ბოლოს დაბინავდნენ, ყველამ დაიჩემა ბუდე და დამშვიდდნენ. დიდი სიხარული შეუდგაო და შორთეს განუწყვეტელი გალობა, თავიანთი სამუშაო სტვენა. სტვენაში ვის არა ბაძვენ, ვის არ აჯავრებენ ჩვენი მხიარული შოშიები? ბოჭის ქყვირილი, კატის კნავილი, მწყურის ქუქქუკი და კიდევ სხვა ხმები გამოისმის იმათ გალობაში. ახლა თვითონ შოშიას უნდა ადევნო თვალი, რას შერება. ხან გაიფხორება, აიბურძგნება, ხან შეიკუმშება და კოპწიაობს, ხან ფრთებს

აქნევს, ხან თავს უკრავს ვილასაცა, ხტუნავს, ცქმუტავს, თითქო სამასხარო კამედიას ადგენსო.

2.



უ დააკვირდები, შეამჩნევ, რომ ყოველს ბუდეს დაებატრონა მხოლოდ თითო შოშია. მეორე შოშია მასთან არა სჩანს. არც ბუდის წმენდასა და განახლებაზე ზრუნავს ჯერ მისი დამჩემებელი. თითქო ვილასაც ელის. ამ ლოდინში გავიდა რავდენიმე დღე. უცებ გაჩნდა სამხრეთიდანვე მეორე ვეებერთელა გუნდი შოშიებისა და ამავე ადგილს დაეშვა. შველა წინედ მოსული შოშია დაუახლოვდა, დაუმეგობრდა ერთს რომელსამე ახლად მოსულსა. მინ არიან ეს ახლად მოსულეები? ღედალი შოშიები. მსენი მამლების შემდეგ მოდიან ყოველთვის. ღედალ-მამალნი მაშინვე შეუდგნენ ბუდის წმენდას და განახლებასა. აგებენ შიგ ფოთლებსა, ბუმბულს, ჩაღა-პულას და სხვასა. ღედალი შოშია სდებს ექვს-შვიდს კვერცხსა, მოლურჯო ფერისას. ორი კვირის შემდეგ გამოიჩინენ პატარა შოშიები, რომელთაც არაფერის ჭამა არ შეუძლიათ, გარდა პატარა მწერებისა. ამიტომ დედალ-მამალი დაფრინავს მინდორში, იჭერს პეპელებს, ბუზებს, კიებს, მატლებს და მიარბევიანებს თავისს ბარტყებთანა. აუარებელს მავნე მწერებს ჟღეტენ ამ დროს შოშიები და დიდს სიკეთეს უშვრებიან ბალებს, ვენახებს, ბოსტნებს და ნათესსა. —

ორი კვირის განმავლობაში პატარა შოშიები ისე იზდებიან, რომ დასაფრენად მზად არიან. ღედალ-მამალს ამოჰყავთ ბუდიდან და მიჰყავთ ან ბოსტანში, ან ბაღში, ან სხვა ყუდრო ადგილებში და ასწავლიან მწერების ჭერასა. როცა ფრენაში გავარჯიშდებიან ბარტყები და გამოიცილებიან, მაშინ ისინი მინდორში გაჰყავს დედ-მამასა და აქ უფრო თავისუფლად ნადირობენ მწერებზე. რადგანაც ჭია-მატლების მეტს არასა სჭამენ არას დროს არც დიდი შოშიები და არც ახალ-გაზდები, ამიტომ აუარებელს

მწერებს აშორებენ თავიდან ბოსტნეულობას, ვაზსა, ხეხილსა და ნათესსა. ამისთანა სამსახურს უწევენ შოშიები მხენელ-მთესველს მთელის ზაფხულის განმავლობაში. შემოდგომის პირში კი ყველანი შეუდგებიან ხოლმე სამოგზავრო მზადებას. იკრიბებიან ერთად ჩირგვნარებში, ადგენენ დიდრონ გუნდებსა, მერმე აფრინდებიან და მიდიან თბილს სამხრეთის ქვეყნებში. მხოლოდ წასვლის დროს ასეთი სიმხიარულე არ ეტყობათ, როგორც მაშინ, როდესაც ჩვენსას მოდიან. სჩანს საქართველო მათ მიაჩნიათ თავისს საყვარელ სამშობლოდ და სამხრეთის მხარეებს კი უცხო ქვეყნებად სთვლიან.


3.



ზაზე ბევრი შოშია იხოცება, — ზოგი უგუნური ხალხი ასობით და ათასობით იჭერს ამ დაუფასებელს ფრინველსა და სჭამს, თავისი მოსავლის მტრების სასიხარულოდ და გასამრავლებლად. მართველები ჭამით არა ეჭამთ შოშიებსა, მაგრამ ჯოხის ან ქვის სროლა კი ვიცით და ბუდესაც ხან-და-ხან ვუშლით. ეს დიდი უგუნურებაა, მტკნარი სულელობაა. შოშია დიდს სიამოვნებასაც გვაგრძნობინებს თავისი მხიარული გალობით და ხასიათით და დიდს სიკეთესაც გვიშვრება მანვე მწერების ულექით. მნების, ზარალის მოტანა მას სრულიად არ შეუძლია და არც მოაქვს. მერცხალივით ეს ფრინველიც ნამდვილი წყაროა სიამოვნებისაც და სარგებლობისაცა. მხოლოდა უფიცი და თავისი მტერი არ მოეპყრობა მას მეგობრულად და სიყვარულით.

შოშიას გაშინაურება ძალიან ადვილია. ძაცს მალე შეეჩვევა ხოლმე და თავისი სტვენით ასიამოვნებს. სარგებლობაც მოაქვს: ჭიებს, მატლებს, ბუზებს, ბაბაჭუებს, კრიჭინებს და სხვა მწერებს აქრობს სახლში და სისუფთავეს ძლიერ ეწვეა. ისეთი ნიჭიერია, რომ მთელს საგალობლებს ადვილად სწავლობს და მღერის. სიტყვების დახსომებაც შეუძლია და თუ თიყუშს არც კი დაუვარდება ამ მხრივ.

თუ შოშის გაშინაურება მოინდომოთ, ასე მოიქცით: ბუდიდან ამოიყვანეთ მაშინ, როცა ბუმბულით ჭ ფრთებით შემოსება; მაგრამ ჯერ კიდევ დასაფრენი არ არის. აქამეთ თეთრი, წმინდა პური, რძეში დასველებული, ან უკეთეთ რძის ფლავი. მეტი არაფერი უნდა. მანამ პატარები არიან, კატა არიდეთ, მერე კი, როცა დაიზღებინან, აღარავის დაებრიყვებინან. ზამარჯვეებით ებრძვიან არამც თუ შინაურ დიდს ფრინველებსა, არამედ კატასა და ძაღლსა და ხშირად უქამენ მათ საქმელსა. ძატასა და ძაღლსა იმიტომ ეშინიათ შოშისა, რომ მარჯვეთ იცის ჩაკვრა თავისი ნისკარტისა თვალეში, ასე რომ ადვილად შეუძლია დააბრმაოს თავისი მტერი. შოშის კი კატა და ძაღლი პირს ვერ მოავლებენ, რადგანაც საოცრად მარდია და სწრაფი. ზაჩვეულს შოშის შევიძლიათ სრული თავისუფლება მიანიჭოთ. როგორც სხვა შინაური ფრინველები, ისიც შორს არსად წავა; მიისეირნ-მოისეირნებს და ისევ დაბრუნდება თავის პატრონთან, რომელიც მას უყვარს მზრუნველობისათვის და რომელსაც ასიამოვნებს თავისი საამური სტვენით, ართობს თავისი სიცელქით, და სიკეთესაც უშვრება მწერების ხოცვითა სახლში და კარ-მიდამოზე.






# გომბეშო, ანუ მიწის ბაყაყი.

1



ალამო ჟამზე შინ შეხვედით. ღაკრიალებულს ეზოში არა სულდგმული არ მოიპოვებოდა. პატარა ხანს უკან სახლიდან გამოხვედით ეზოში და კინალამ ფეხი არ დაადგით რალაც ჩუმს არსებას, რომელმაც იხტუნა და ხტუნვით იქით გაგეცალათ. **ჴუი, გომბეშო!** წამოიძახეთ თქვენა სიძულვილით და ზიზლით.

ღიღ, გომბეშო ყველას ეზიზლება. რად? ჴერ იმიტომ, რომ საზარელი შეხედულობა აქვს. ტალახის ფერი, გაბერილი მუცელი, მრუდე ფეხები, გადმოკარკლული თვალები, ბურცოიანი და სველი კანი საშინელ მახინჯად ხდიან გომბეშოსა. მეორედ, გომბეშოს მუდამ გამოსდის თავსა და ზურგზე ქენჭი, რომელსაც აქვს მსუსხავი და შხამიანი თვისება. ეს ქენჭი რომ კაცის კანს მიეცხოს, ქავილს მოჰგვრის; თუ გაკაწრულს ადვილს მოხვდა, საშინელს წვას



აუტეხავს. თუ თქვენ ხელში აიყვანეთ გომბეშო, და მერმე დაუბანელი ხელით თვალები მოისრისეთ, მაშინვე იგრძნობთ დიდს სიმწვავეს და შეიძლება თვალის ანთებაც დაგემაართოთ. მაგრამ საზოგადოდ ეს შხამიანი ქენჭი ადამიანისათვის მაგრე რიგად არ არის მავნებელი. სრულიად სხვა ნაირად მოქმედობს პატარა ცხოველებზე. ჴრინველები, თევზები, ბაყაყები, რომელთათვის საც-


დელად დაუღვეინებიათ ეს ქენჭი, საშინელი ტანჯვით დახოცი-  
ლან ყოველთვის. ძალი, რომელმაც ერთხელ იწვნია გომბე-  
შოს ქენჭი, მეორედ ვეღარ ჰბედავს მიეკაროს. არც ერთს მხეცს  
არ შეუძლია სქამოს გომბეშო, გარდა ანკარასი, რომელიც არ-  
ხენად შეექცევა ხოლმე გომბეშოსა და არავითარ ვნებას არა  
გრძნობს მისი შხამიანის ქენჭისაგან. ადამიანი-კი უნდა ერიდოს  
მხოლოდ ხელში გომბეშოს აყვანასა, და მაშინ ეს ცხოვე-  
ლი მას არავითარს ვნებას არ მიაყენებს. მაგრამ იქნება ყველას  
ისა სჯობდეს, რომ მიწის ბაყაყები გავუღიტოთ? არა, ეს იქ-  
ნება დიდი უგუნურება. ზომბეშო დიდად საზიზღარია, მაგრამ  
ამასთან დიდათაც სასარგებლო და დიდი სიკეთის დამთესი.  
ზომბეშო რომ არა ყოფილიყო, ხშირად, ძალიან ხშირად ბოს-  
ტანი მოსავალს სრულიად მოაცდენდა, სხვა გვარი მოსავალიც  
იკლებდა და მხვნელ-მთესველი დიდს ზარალში იქნებოდა.

2



აქმე ის არის, რომ დღისით, როგორც უკვე ვიცით,  
ბოსტანს უყარაულებენ ჩიტები, რომლებიც კომოს-  
ტოს ფოთლებიდან, ხახვიდან და სხვა მწვანილიდან  
ჰკრეფენ ქიებსა, მატლებსა, ქიაღუასა და არ აფუჭებინებენ  
ბოსტანსა. ლამით, როგორც ვიცით, ჩიტებს თავიანთ ბუ-  
დეებში სძინავთ. ჭიები, მატლები, ლოკოკინები იდროვებენ  
ხოლმე და დაღამდება თუ არა, ბოსტანში მიდიან კომოსტო-  
სა და სხვა მწვანილის საქმელად. ლამის პეპელეებიც სწო-  
რედ ამ დროს სდებენ ბოსტნეულობაზე თავისს კვერცხებსა,  
რომელთაგან გამოიჩიკებიან ხოლმე ღორმუცელა მატლები და  
სთქვლეფენ კომოსტოს და მწვანილსა. მსენი სრულიად ააოხ-  
რებდნენ ბოსტნეულობასა, რომ გომბეშოები არ ყოფილიყვნენ.  
ამათ მთელი დღე სძინავთ ნესტიანს სოროებში, მაგრამ დაღამ-  
დება თუ არა, მაშინვე ხტუნვით გამოდიან გარედ და დაერევიან  
ხოლმე ბოსტნის მტერს მწერებსა. მთელის დღის მშვიერი გომ-  
ბეშო გაუმაძღრობას იჩენს და ბევრს მწერს ჟლეტავს. თუნდაც

ლამის პეველა მალა იჯდეს, გომბეშოს ვერ გადაურჩება. ჩუ-  
მად მიეპარება, მარღად შეხტება, თითქმის ცერის სიგრძეზე  
გამოაგდებს თავისს წებოიანს ენასა, მოავლევს პეველასა და გაგ-




ზენის თავისს მუცელში. ამ სურათზე ცხადად არის გამოხატული ეს ნადირობა გომბეშოსი ლამის პეველაზე. მის აგებუ-

ლობა გომბეშოს თავისებური აქვს და ეს ძლიერ შველის პეპელების და სხვა მწერების ჭერაში. მნა უკულმა აბია გომბეშოსა. ძირი ენისა წინ აქვს, წვერი უკანა. ამის გამო მთელს ენას გამოაგდებს ხოლმე გარედ და დიდს მანძილზე სწვდება.

უწინდელმა მებოსტნეებმა არ იცოდნენ გომბეშოების სარგებლობა და რადგანაც ისინი საზიზღარნი არიან, სდევნიდნენ და ხოცავდნენ მათ. ახლა-კი გომბეშოს დიდი პატივით ეპყრობიან. როგორც სახლებში ჰყავთ კატები თავგების გასაწყვეტად, ისე ბოსტნებში გომბეშოებს ზდიან მატლების გასამუსრად. პარიჟსა და ლონდონში მებოსტნეები არამც თუ არას ერჩიან გომბეშოებსა, კიდევ ყიდულობენ გასაშენებლად. ამრავლებენ, ავსებენ ბოჭკებსა და ზღვით უგზავნიან სხვა-და-სვა ქვეყნებში მებოსტნეებსა და ფასსაც კარგს იღებენ.—


თუმცა გომბეშოს უფრო ბოსტნის ახლო უყვარს ცხოვრება და უფრო ხშირად აქ დანადირობს; მაგრამ არც ვენახებს და ბაღებს ერიდება, მინდორშიაც იკეთებს ბინასა და ყველგან მუსრს ავლებს მანვე მწერებსა. ამითი ძლიერ ხელს უმართავს მხვენელ-მთესველსა და დიდს მეგობრობას უწევს. ჩვენც ნუ ვიქნებით უმადურნი, ნუ მივაქცევთ ყურადღებას ცუდს გარეგნობასა, მახინჯს შეხედულობასა, სახეში ვიქონიოთ გომბეშოს დიდი სარგებლობა და სიკეთისათვის მფარველობა გავუწიოთ.—



# მტრედი, ვერიტი, მწყერი, გუგული, ოფოფი, კოდალა და ბულბული.



მტრედი უსაცვარელესი ფრინველია ყველა ადამიანისათვის. რითი დაიმსახურა ეს სიყვარული? იქნება დიდი ჭკუითა? არა, მტრედს ნიჭით და გონებით ძლიერ ბევრი ფრინველი სჯობია. იქნება დიდს სარგებლობას სძღვნიდეს ადამიანსა? არა, არც ეს ითქმის მასზე. მტრედს არ შეუძლია ბელურასავით იჭიროს და სჭამოს ჭია-მატლები, პეპელები და სხვა მოსავლისათვის მავნე მწერები. მისს ერთად ერთს საქმელს შეადგენს სხვა-და-სხვა ჭინახულის მარცვლეულობა: პურისა, ქერისა, ფეტვისა, შვრიისა, ღომისა და სხვისა. ასე რომ ამ მხრივ ზარალსაც კი აძლევს ადამიანსა. უსარგებლობა და ცოტაოდენი ზარალი მტრედს შეუძლია უკიჟინონ არამც თუ კოტმა და ღამურამ, არამედ ბელურა ჩიტმაცა. მაშ რითი მო-



იგო ასე სავსებით ადამიანის გული ღულუნა ფრინველმა? თავისი სამაგალითო ხასიათით. მტრედი არის მეტად უწყინარი ფრინველი, უბოროტო, კეთილი, უმანკო, მოსიყვარულე, ერთგული მეგობრობაში, მოშორებული ყოველ ეშმაკობას და გაქნილობას, მუდამ სუფთა, ფაქიზი, მხიარული მოღულუნე, მუ-

დამ საამური სანახავად და ძლიერ მინდობილი ადამიანზე. მისს ხასიათში მოიპოვება ყოველი ღირსება და ნაკლებლოვანებას-კი ვერც ერთს ვერ მოსძებნით. ამიტომაც არის ნათქვამი: სახარებაში: „იყავ უმანკო, ვითარცა მტრედი“. მტრედის ხასია-

თისა რომ იყვნენ ადამიანები, დიდები და პატარები, მთელს ქვეყნიერებაზე ბოროტება გაქრებოდა, შფოთი და მტრობა ზოისპობოდა, ხათრი და სიყვარული გამეფდებოდა და ქვეყანა აივსებოდა სიმშვიდით, სიტკბოებით, ბედნიერებითა.

რაც შეეხება ჭინახულს, მტრედი მას, როგორცა ვსთქვით, ზარალს აყენებს, რადგანაც იკვებება მხოლოდ მარცვლეულო-ზით და მწერებს პირსაც არ აკარებს. მაგრამ ერთი მხრივ სარგებლობაც კი მოაქვს. შევლას, ვისაც სოფლად უცხოვრია, შემჩნეული ექნება, რომ მტრედებს უყვარია გუნდ-გუნდობით სხდომა ახლად მოხუღს ხნულებში. აქ ისინი წამდაუწყუმ რალასაც ჰკენკამენ. რასა? რა საკვირველია, არა ჭინახულის მარცვალეზსა, რადგანაც ეს მარცვლები ჯერედ დაუთესელს ხნულებში არ მოიპოვება. მტრედები ჰკენკამენ ბალახ-ბულახის თესლსა, რომელიც მრავლისაგან მრავალი ურევია ხნულში, თუმცა თვალით კი ძნელად დაინახავს კაცი. მტრედები და სხვა ფრინველები რომ ამ თესლს არა ჰკენკავდნენ, ბალახ-ბულახი იმდენი მოვიდოდა ყანაში, რომ მოსავალს დასჩავრავდა ღ მოაცდენდა... მაგრამ მაინც ღ მაინც მთავარი ღირსება მტრედისა არის მისი შეუდარებელი, მომხიბლავი, უმანკო ხასიათი.

მტრედს ძლიერა ჰგავს ხასიათით და ზნე-ჩვეულებით მისი ახლო ნათესავი—გვრიტი, რომელიც აგრეთვე მეტად საყვარელი ფრინველია ყველასათვის. როცა ქართველს დედას უნდა მიესაყვარლოს თავისს შვილსა, ეუბნება: ჩემო გვრიტო. გვრიტიც ჭია მატლებს სრულიად არ ეტანება, სცხოვრობს მხოლოდ მარცვლეულობით და ცოტა არ იყოს მაზარალეზელია მზენელ-მთესველთათვის, თუმცა მეორე მხრივ სარგებლობაც მოაქვს იმითი, რომ ბალახ-ბულახის თესლს ჰკენკავს ხნულებში და ამითი ცოტათი მაინც ხელს უწყობს მოსავალსა.

მწყერს ჩვენში ეძახიან ყანის მტერსა, ეძახიან არა მარტო ხალხში, არამედ ასე იხსენებენ მას განათლებულნი მწერ-ლებიცა, პოეტებიცა. აი კიდევ საშინელი უსამართლობა. მწყერი ერთგული, დაუფასებელი მცველია ყანისა. ჯეჯილი

ჯერ კიდევ კარგად არ ასცილებია მიწასა და მასში გაისმის სა-  
ამური ქუკქუკი მწყრისა. ჯეჯილი ღე ყანა საყვარელი ადგილია  
მწყრისათვის. რისთვის ირჩევს საცხოვრებლად ამ ადგილსა?  
მარცვლეულობისათვის? ჯერ მარცვლის ქაქანებაც არ არის  
ჯეჯილში და ამ საზრდოს წამლაც ვერ იპოვნის მწყერი  
აქა. მარცვლები ყანას შეუძლიან უწილადოს მწყერს თავთავე-



ბის მოსხმის შემდეგ. თავთავის მოს-  
ხმამდის კი გაივლის გაზაფხულის და-  
მდეგიდან თუნდა სამი თვე. ამდენი  
ხნის განმავლობაში რითი სცხოვრებს  
მწყერი ჯეჯილსა და ყანაში, რასა  
სკამს? იქერს, ჟლეტს და სკამს  
სხვა-და-სხვა კია-მატლებს, რომე-

ლნიც უფუჭებენ ჯეჯილსა ფესვებს, ლეროებს, უკამენ  
ყანას გამოსახულს მარცვლებსა და ახდენენ მოსავლსა. მანე  
მწერები, ყანაში დაბუდებულნი, შეადგენენ, ერთად ერთს სა-  
კმელს მწყრისასა, ვიდრე თავთავს არ მოისხამს ქერი, პური  
და ფეტვი და არ დამწიფდება. რადგანაც მწყერი მოზდი-  
ლი ფრინველია, კარგი ძალი საკმელი უნდება, ამიტომ აუ-  
რებელს მანე მწერებს ჟლეტს გაზაფხულის და ზაფხულის  
განმავლობაში. მეტადრე შავს დღეს აყენებს მათ თავისი ჩო-  
ჩრების დაზრდის დროსა. მწყერების ჩოჩრებს მარცვლების კამა  
არ შეუძლიათ და ამიტომ დედალ-მამალნი მათ ზრდიან კია-  
მატლებით, რომელთაც იქერენ იქვე ყანაში. ღიდი ხანია გა-  
ნათლებულს ქვეყნებში შენიშნულია, რომ სადაც მწყერზე  
ნადირობა გაზმირებულია, იქ ყანის მოსავალი მცირეა. სამა-  
გიეროდ, სადაც მწყერები ნაკლებად იდევნებან და დაუბრკო-  
ლებლივ მრავლდებიან, იქ მხენელ-მთესველნი ხარობენ უხვი  
მოსავალითა.

ღიად, მწყერები არიან დაუფასებელნი მცველნი და მფა-  
რველნი ყანისა, კინახულისა. ამიტომ მათზე ნადირობა ზა-  
ფხულის შუაგულამდის ნამდვილს უგუნურებას შეადგენს. თვი-

თეული მწყერის მოკვლა ჩანახობით ამცირებს მოსავალსა, ხოლო ბუდის მოშლა კოდობით უმცირებს გლეხს პურის კავსა. ჰველა სოფელმა, რომელსაც ცოტაოდენი შეგნება ქვს, ყაღაღა უნდა დასდოს მწყერებზე ნადირობას, აკრძალოს გი ივლისამდის მანცა და ჯარიმა გადაახდევინოს ყველას, ინც კი ამ დრომდე მწყერს დაიჭერს, მოჰკლამს, ან ბუდეს ამოუშლის. მწყერაობა ნება-დართული უნდა იქნას მხოლოდ ვლისიდან, როცა პური და ფეტვი მოიწიფება, ჩოჩრებს დაარენენ მწყერები და იწყებენ მარცვლეულობის ჯამას, მეტარე ფეტვის მარცვლისასა, რომელიც ისე უყვართ მწყერებსა ისე ასუქებს მათ.

რაც ყანისათვის არის მწყერი, ის ტყისათვის გუგულია, ის გაზაფხულის მახარობელი ფრინველი. ხეები ტყეში სავსეა ხვა-და-სხვა ჯიშის მატლებითა და ჭიებითა, რომელნიც ასწელებენ მათ, აფუქებენ, ახმოებენ. ამ მავნე მწერებში ბევრი



ურევინ იმისთანები, რომელთაც ეკალი ასხიათ ტანზე, შხამიანები არიან და ამიტომ ფრინველები უფროხიან მათ. ეს მავნე მწერები საშინლად გამრავლდებოდნენ და წაახდენდნენ ტყე-

ებსა, თუ ფრინველთა შორის არ ყოფილიყო გუგული, რომელიც არ ერიდება არც ეკლებს ამ მავნე მწერებისას და არც ეშინია მათი შხამისა, როგორც ზღარბს გველის გესლისა. პირიქით, სწორედ ეს საშიში და მავნე მწერები შეადგენენ



საკვარელს საკმელს გუგულისას, რომელიც მათ მშვენივრად ინელებს და ჟლეტს ათასობით და ათი-ათასობით.

სარგებლობით გუგულს არ ჩამორჩება უკან მეორე მახარობელი გაზაფხულისა — ოფოფი. ეს თავისებური ფრინველიც მოუღალავი მდევნელია მავნე მწერებისა ღ ნადირობს მათზე არა მარტო ტყეში, როგორც გუგული, არამედ ყანებშიაც, მწყერივითა.



ბალსა და ტყეში ხშირად გაიგონებს ადამიანი ისეთს ხმაურობას, თითქო ჩაქუჩს უკაკუნებს ვინმე ხეებსაო. **მ**უ გამოიძიებს მიზეზსა, ამოჩნდება, რომ ამ კაკუნის მომქმედი არის ხეკაკუნა ფრინველი, ანუ კოდალა. ჩისთვის აკაკუნებს ხეებს კოდალა? იმისათვის, რომ ქერქ ქვეშ მყოფი ჭიები და მატლები,



რომელნიც ხეს აფუჭებენ, შეაშინოს, დააფრთხოს, გარედ გამოიყვანოს და გადაყლაპოს. მართლაც, თავ-ხარ დაცემული მწერები ხის მეორე გვერდიდან გარედ გამორბიან თავის საშველად, მაგრამ კოდალა სწრაფად მოექცევა ხოლმე იქითა გვერდზე, იჭერს მწერებსა და ყლაპავს. მთელი დღე ამ ნადირობაში ატარებს, ხოცავს მწერებსა და დიდს სიკეთეს უშვრება ხეებსა და ხეხილსა.



ბუღბუღი მთელ დედამიწის ზურგზე გათქმულია თავისი შეუდარებელი გალობით და სამაგალითო ხასიათით. ამასთან იგი ძლიერ სასარგებლო ფრინველიც არის, რადგანაც ზარცვლეულობის ჯამა არ შეუძლია და იკვებება მთელს სიცოცხლეში მხოლოდ წვრილმანი მატლებით, ჭიებით და მათი კვერცხებითა და ამითი ხელს უწყობს მოსავალსა.



ამისთანავე სასარგებლონი არიან ყველა მგალობელი ფრინველი და ჩიტები, მაგალითად: ტოროლა, კინკრაქა, ანუ ლობემძვრალა, ნიბლია და სხვანი.— მოზდილი ფრინველები კიდევ იმითი არიან სასარგებლონი, რომ ჟღერტენ კალიასა, როგორც, მაგალითად, ტარბი.

